ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გია ხუხაშვილი: „ივანიშვილი „ქართულ ოცნებას“ ვეღარ უშველის“



„ხელისუფლება ოპოზიციას გაერთიანებისკენ უბიძგებს“

გვ.3

19 აპრილიდან

ჟორჟ სანდი

ინდიანა

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 26-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ოთხშაბათი, 19 აპრილი, 2017 №91 (7326) ფასი: 50 თეთრი

# მეუფე იაკობი: „პატრიარქის მკვლელობა იგეგმებოდა“



გვ.2

## ადვოკატი რამიშვილი მეუფის პოზიციამ გააკვირვა





გვ.4

## მამუკა არეშიძე: „ერდოღანისგან ვერ გაიგებ, რა უნდა“

რა შედეგს მოუტანს თურქეთის რეფერენდუმი საქართველოს



## ჯემალ გამახარია: „ლავროვი აფხაზეთიდან ევროპას ემუქრება“

გვ.5



## აფხაზმა დეპუტატებმა სამსახურის მანქანებზე უარი თქვეს

გვ.5



„როცა ხალხს უჭირს, ჩვენ ფუფუნებაში ყოფნის უფლება არ გვაქვს“

## რა კულუარულ მოლაპარაკებებს ატარებს რუსეთი სოხუმთან და ცხინვალთან






გვ.4



## თბილისში, შესაძლოა, „ჩქარი ავტობუსები“ გამოჩნდეს

გვ.6



## გიგა ბათიაშვილი: „სამთავრობო ქალაქი, უმჯობესია, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მოეწყოს“

გვ.6

ISSN 1987-9385

# მეუფე იაკობი: „პატრიარქის მკვლელობა იგეგმებოდა“

## ადვოკატი რამიშვილი მეუფის პოზიციამ გააკვირვა





შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმე ისევ მთავარი თემა გახდა. მეუფე იაკობის მიერ ქადაგების დროს გაკეთებულ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ცნობილი გახდა ისიც, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის სოსო ოხანაშვილის კადრები.

ამ ინფორმაციას ოხანაშვილიც ადასტურებს. თუმცა ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებს, თუ რატომ გაათავისუფლეს ისინი. ახლა მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ მათ არაფერი შეეშლებოდათ.

– ყველა ჩემი კადრია, ვინც იქ მუშაობდა. ყველა კარგი ბიჭი იყო, გამოვრიცხავ, რომ რამე შეეშალათ, – აღნიშნა ოხანაშვილმა.

პატრიარქის დაცვის ყოფილი თანამშრომლების გათავისუფლების მიზეზებზე ვერც ციანიდის საქმეზე დაკავებული მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი საუბრობს.

– არ ვიცი, რატომ გაუშვეს ეს ხალხი სამსახურიდან. ეს მათი შიდა სამზარეულოა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში რამიშვილი.

თავად ოხანაშვილმა პატრიარქის დაცვის უფროსის თანამდებობა ჯერ კიდევ თებერვლის თვეში დატოვა, თუმცა მისი კადრები ბოლო მომენტამდე რჩებოდნენ საპატრიარქოში. აქამდე პატრიარქის დაცვის სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. აპრილის დასაწყისში კი ეს სამსახური სახელმწიფო დაცვის სამსახურის დაქვემდებარებაში გადავიდა.

მეუფე იაკობმა 15 აპრილს, დიდ შაბათს, გარდამოხსნის წესის დროს, ლოცვის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ პატრიარქის მკვლელობა იგეგმებოდა.

– უფალო, დიდი მადლობა, რომ აგვარიდე ძალიან მძიმე დანაშაულს, რომლის შემდეგაც უდიდესი წყევლა გადმოვიდოდა ჩვენს ერზე და როგორც მოსიყვარულე მამამ, არ მიეცი უფლება და საშუალება, რომ მოგვეკლა ჩვენი პატრიარქი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავიდან ბოლომდე ჩახედული ვარ და მე არ მჭირდება და არც შენ არ გჭირდება, უფალო, უდანაშაულობის პრეზუმპცია. ვიცით, რაც ხდებოდა. გულწრფელად მეცოდებიან ისინი. მადლიერი ვართ შენი, რომ აარიდე იმ აზრს და თუ შეინანებენ, აბსოლუტურად არავინ არ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც, პირიქით, სინანულის მერე გვერდში არ დავუდგებით და ჩვენც ვიტვირთავთ მერე მაგ უმძიმეს დანაშაულს, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

ბოდბელი ეპისკოპოსის განცხადებას ეთანხმება საპატრიარქოს იურისტი ედიშერ ქარჩავაც.

როგორც ედიშერ ქარჩავამ ტელეკომპანია პირველთან სატელეფონო საუბარში აღნიშნა, ალბათ მეუფე იაკობს ამაზე აქვს გარკვეული ინფორმაცია.

– მე სრულიად ვეთანხმები მეუფე იაკობის პოზიციას. ჩვენ გვავიწყდება ხშირად, რომ არსებობს სამართლებრივი კანონმდებლობა და არსებობს საეკლესიო სამართლის ნორმები. ამიტომ, მღვდელმთავარს ყოველთვის აქვს უფლება, სინანულისაკენ მოუწოდოს სასულიერო პირს.

საზოგადოების გარკვეული ფენებისთვის, ყველასთვის ყველაფერი კარგად არის ცნობილი. ვინ რას გეგმავდა, ვის უნდოდა პატრიარქის გაყვანა და ვის გამორჩევა უნდოდა – ყველამ ყველაფერი იცის. უბრალოდ, უდანაშაულობის პრეზუმპციას ვერ არღვევს ვერავინ, ამიტომ კონკრეტულად ვერ ასახელებენ რაღაც გარემოებებს, – აღნიშნა საპატრიარქოს იურისტმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, იზიარებს თუ არა პოზიციას, რომ მზადდებოდა პატრიარქის მკვლელობა, ასე პასუხობს:

– მე ვიზიარებ მეუფე იაკობის პოზიციას. ალბათ მას აქვს ამის საფუძველი და ამაზე აქვს გარკვეული ინფორმაცია, ამიტომ მღვდელმთავარს აქვს იმის უფლება, რომ მოუწოდოს სასულიერო პირს სინანულისკენ. მეუფე ყოველთვის ამბობს და ადასტურებს იმ ინფორმაციას, რაც მას გააჩნია.

საზოგადოების გარკვეული ფენებისათვის – ეს იქნება სამთავრობო, საეკლესიო, საზოგადოების გარკვეული ფენებისათვის, თუნდაც ადვოკატებისათვის მეტი ინფორმაცია არის ცნობილი. მე შემიძლია დავეყრდნო მეუფის ინფორმაციას.

საპატრიარქოს იურისტი იმასაც ამბობს, რომ ის გამოძიებას ენდობა.

მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ მეუფე იაკობის განცხადებით გაოცებულია.

მისი თქმით, ეპისკოპოსი შენდობისკენ ურჩევს სვლას მამა გიორგის, რაც ძალიან ახლოს არის აღიარებასთან.

– მოგეხსენებათ, ქადაგების დროს ადამიანები ყველაფერს უსმენენ და ეს არის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც უნდა ირწმუნო. ალბათ, უფრო უპრიანი იქნება, ამ ქადაგებასთან დაკავშირებით მეუფემ გასცეს კითხვებს პასუხი. იმიტომ, რომ თუ გავითვალისწინებთ, რომ შენდობისკენ ურჩევს სვლას მამა გიორგის, შენდობა ძალიან ახლოს არის პროკურატურის პოზიციასთან, აღიარებასთან და ეს ჩემთვის გასაკვირი არის, – აღნიშნა ადვოკატმა.

მისთვის ასევე გასაკვირია საპატრიარქოს იურისტის პოზიციაც, რომელიც თან გამოძიებას ენდობა, თან მეუფე იაკობის პოზიციას იზიარებს, რომ პატრიარქის მკვლელობა იგეგმებოდა.

– გამოძიება ამბობს, რომ არა პატრიარქის, არამედ სულ სხვა პიროვნების მკვლელობა იგეგმებოდა, – აღნიშნავს რამიშვილი.

ის იმის გამოც გამოთქვამს წუხილს, რომ გარკვეული ძალები სიმართლის დადგენით არ არიან დაინტერესებული.

– სიმართლის გარკვევა თუ გინდა, მაშინ ორივე მხარეს უნდა მოუსმინო. ამ შემთხვევაში მარტო ერთი მხარე საუბრობს. დაცვის მხარეს ამის საშუალება არ გვეძლევა, – ამბობს ადვოკატი.

* * *

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით მალე უფრო ცხელი განცხადებების მოსმენა მოგვიწევს. 5 მაისიდან საქმის წინასასამართლო განხილვა იწყება. ეს პროცესი 5 აპრილიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ პროკურატურამ დამატებით ერთთვიანი ვადა ითხოვა.

ადვოკატების განმარტებით, საგამოძიებო უწყება ჩიხშია შესული და რაღაც მტკიცებულებებს ეძებს.

– ასეთი მტკიცებულებები ბუნებაში უბრალოდ არ არსებობს, – აცხადებს ადვოკატი რამიშვილი.

პროკურატურის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე კი ამბობს, რომ ძალიან ბევრი სკანდალური ფაქტი ამოტივტივდება.

ამ ეტაპზე უცნობია, ღია იქნება თუ არა ეს საქმე. მამა გიორგი მამალაძემ პროკურატურას ოფიციალურად სთხოვა, მისი ოჯახის წევრებისთვის დაცვა მოეხსნათ. ადვოკატების განმარტებით, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ პროცესი არ დახურულიყო.

# თინათინ ბოკუჩავა: „ჯობდა, რომ მაჟორიტარული არჩევნები ნაციონალურ მოძრაობას გაეუქმებინა“

## „ამ საკონსტიტუციო ცვლილებებითაც მთავარ ოპოზიციად ვრჩებით“

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, პარლამენტის წევრი თინათინ ბოკუჩავა „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.**

***– ნაციონალურმა მოძრაობამ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პროტესტის ნიშნად დატოვა, მიუხედავად ამისა, როგორ აფასებთ კონსტიტუციის ახალ რედაქციას, რომელსაც მიმდინარე კვირას უყრის კენჭს კომისია?***

– პირველ რიგში ჩვენ, ნაციონალურმა მოძრაობამ, კომისია დავტოვეთ ერთადერთი მიზეზით, რომ ხელისუფლების მიერ ოპოზიციის გამოყენება ხდებოდა, როგორც ფასადის, თავიანთი მიზნების მისაღწევად. ამ კომისიაში ოპოზიციას არანაირი საგნობრივი, რეალური ცვლილებების შეტანა არ შეეძლო, რადგანაც ყველა წინადადება, რომელიც გავიდა, ხელისუფლების ინიციატივა იყო.

ეს ცვლილებები ემსახურება იმას, რომ რაც შეიძლება ნაკლები არჩევითი თანამდებობის პირები გვყავდეს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – პრეზიდენტი არა ხალხმა, არამედ ამრჩევმა კოლეგიამ აირჩიოს, რათა არსებული ხელისუფლების გავლენა უპირობო იყოს. ეს სრულიად მიუღებელია ჩვენთვის.

***– კონკრეტულად რა იყო მიზეზი, რატომაც კომისია დატოვეთ, თუ ეს გადაწყვეტილება იმთავითვე გქონდათ მიღებული?***

– თუ კონკრეტული მიზეზი უნდა დავასახელო, და ეს უნდა იყოს ერთი, მაშინ პირდაპირ გეტყვით, რომ ეს იყო პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნები. პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილება, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი იყო. ადამიანებს არ უნდა წავართვათ შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტი თვითონ აირჩიონ.

გასაგებია, რომ უმრავლესობის წევრი დეპუტატები არაერთ მაგალითს შემოგვთავაზებენ, მათ შორის ევროპული ქვეყნების მაგალითებს, სადაც პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს, ან ამრჩევთა კოლეგია თუ კიდევ სხვა ორგანო, მაგრამ უმრავლესობის ვერც ერთი დეპუტატი ვერ დამისახელებს ვერც ერთი ქვეყნის მაგალითს, სადაც მილიარდერი აკონტროლებდეს ქვეყანაში ყველაფერს. ეს არის ჩვენი ქვეყნის მთავარი გამოწვევა და სწორედ ამ ფონზე ხდება პრობლემატური, რომ ადამიანებს ვართმევთ კიდევ ერთი არჩევანის თავისუფლებას.

საარჩევნო სისტემა, რომელსაც ხელისუფლება გვთავაზობს, აგებულია პრინციპზე – ყველაფერი გამარჯვებულს მიაქვს. ეს არ არის სამართლიანი, ეს არ არის პოლიტიკური პლურალიზმისკენ გადადგმული ნაბიჯი. პოლიტიკური პლურალიზმი კი აუცილებელია ნორმალური, დემოკრატიული განვითარებისთვის.

***– ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ვერც ერთი ხელისუფლება აქამდე ვერ შეეხო საარჩევნო სისტემას, რომელიც 90-იანი წლებიდან მოყოლებული არსებობს ქვეყანაში, რომელსაც ოპოზიცია მახინჯ სისტემას უწოდებს, ჩვენ კი შევცვალეთო. როგორია თქვენი კონტრარგუმენტი?***

– რეალურად „ქართულ ოცნებას“ მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების პირობა წინასაარჩევნოდ ჰქონდა დადებული ჯერ კიდევ 2016 წლის არჩევნებამდე. აქამდე რომ არ შეიცვალა საარჩევნო სისტემა, ეს იყოს ამომრჩევლის მოტყუება. ახლა მათ ამ სიტუაციიდან გამოსავალი მოიფიქრეს, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ სახელისუფლო პარტიამ ისევ მოიპოვოს აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში. ამდენად, ერთ მახინჯ სისტემას მეორე მახინჯი სისტემით ანაცვლებენ. მე ვეთანხმები იმაში, რომ მაჟორიტარული სისტემა დიდი ხნის წინ უნდა გაუქმებულიყო.



***– თქვენ იყავით ხელისუფლება-***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილი „ქართულ ოცნებას" ველარ უშველის"

## „ხელისუფლება ოპოზიციას გაერთიანებისკენ უბიძგებს"



შორენა მარსაგიშვილი

**რისი იმედი აქვს ხელისუფლებას, რისკენ უბიძგებს „ქართული ოცნება" ოპოზიციას, შესაძლებელი იქნება თუ არა ხალხის პროტესტის განეიტრალება, წავა თუ არა მარგველაშვილი პოლიტიკიდან? — ამის შესახებ „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***— ოპოზიცია საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას ბოიკოტს უცხადებს. ხელისუფლება ამბობს, რომ ბოიკოტის არ ეშინია. თქვენი აზრით, მართლა ასეთი უმნიშვნელოა ოპოზიციის ბოიკოტი?***

— ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება" ვაჟკაცობის დამტკიცებას ცდილობს, მაგრამ იმდენს ვერ ხვდება, რომ პოლიტიკას ასეთი ვაჟკაცობა არ უხდება. იმის თქმა, რომ ჩვენ ბოიკოტის არ გვეშინია, პოლიტიკური აზროვნებით შეზღუდული ადამიანის კომენტარია.

მთავარი პრობლემა ოპოზიციაში არ არის, მთავარი პრობლემა კონსენსუსის უქონლობაა. კონსტიტუციასთან დაკავშირებით თუ მმართველ ელიტასა და საზოგადოებას შორის კონსენსუსი არ არის, ეს საბოლოო ჯამში იმის პრობლემა ხდება, რომელიც ხელების გადაგრეხას ცდილობს.

თავის დროზე ოპოზიციის არც მიხეილ სააკაშვილს არ ეშინოდა, მაგრამ ვნახეთ, რაც დაემართა. ამ ხელისუფლებასაც ასე დაემართება.

***— ოპოზიციის გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?***

— ბოიკოტი ლოგიკური გადაწყვეტილებაა და აქ არანაირი შეთქმულების თეორია არაა განსავითარებელი. საარჩევნო კანონმდებლობით, ისედაც მწირი რესურსების მქონე ოპოზიციას თავისი შესაძლებლობების გაზრდის პერსპექტივასაც რომ უკლავ, ამას აუცილებლად მოჰყვება სერიოზული პროტესტი. ამის გარდა, ხელისუფლება ოპოზიციას ობიექტურად უსამართლო სისტემას სთავაზობს.

ჩემთვის პირადად მისაღებია, თუ საარჩევნო ბლოკების შექმნა აიკრძალება, მაგრამ ეს ოპოზიციისთვის მიუღებელია. ჩემი აზრით, სანამ სრულფასოვანი პარტიები არ გვეყოლება, საარჩევნო ბლოკების აკრძალვა არ უნდა მოხდეს.

ოპოზიციისთვის მესამე ფუნდამენტური საკითხი საპრეზიდენტო არჩევნები გახლავთ. ოპოზიციისთვის საპრეზიდენტო არჩევნები საპარლამენტო არჩევნების წინა ძალების დათვალიერებაა. იმის შანსიცაა, რომ ფორმაში მოვიდნენ და კონკურენტულ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა.

როცა პარტიებს ამ შანსებს ართმევ, მათგან მწვავე რეაქციასაც უნდა ელოდო. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო ფონზე ხდება — ყველა გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის უმეტესობა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესს ემხრობა. ასეთი განწყობა ოპოზიციისთვის ხელსაყრელი პლატფორმაა და მას შეუძლია ხელისუფლებას შეუტიოს.

ოპოზიციის მესმის, მაგრამ არ მესმის იმ ექსპერტების, რომლებიც ამ პროცესში ხელისუფლების ლეღვის ფოთლებად იქცნენ. მაინტერესებს, მათ ან ღირსება, ან თავმოყვარეობა არ აწუხებთ, რომ ისევ იქ სხედან? მათი აზრი ისედაც არავის აინტერესებდა და ამ კომისიაში ფასადისთვის ისხდნენ მხოლოდ.

უმჯობესია, ხელისუფლებამ თავისი ქმედებები გააანალიზოს, ვაჟკაცის როლის თამაშს და პრეზიდენტისთვის ბოიკოტის პროვოცირებას თავი დაანებოს. ეს ბრალდება სრული სისულელე გახლავთ.

***— ამ ბოიკოტში მარგველაშვილს წვლილი შეიძლება არ მიუძღვის, მაგრამ ხელისუფლება თავისი სიხისტით ხომ არ აიძულებს ოპოზიციას, პრეზიდენტის გარშემო მოიყარონ თავი? თავად მარგველაშვილი ამბობს, რომ პოლიტიკაში დარჩენას არ აპირებს.***

— ლოგიკურად ისმება კითხვა, რომ პრეზიდენტის გარშემო შეიძლება რაღაც პროცესი დაიწყოს. თავად მარგველაშვილს ამის სურვილი არ აქვს. ამ ეტაპზე ნამდვილად ასეა. არაერთხელ მითქვამს, რომ მისთვის ხელისუფლებაში ყოფნა არის ტვირთი და შეიძლება საერთოდ წავიდეს პოლიტიკიდან.

მის გარშემო რაღაც გაერთიანებაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ დღეს არსებულ პოლიტიკურ მოზაიკაში სხვა ალტერნატივა არ ჩანს და ამიტომაც მუდმივად ისმება ეს კითხვა.

***— სხვა ალტერნატივა არ ჩანსო, ამბობთ, დავით უსუფაშვილი ბრუნდება პოლიტიკაში და რამდენად არის მოსალოდნელი მის გარშემო რაიმე გაერთიანების შექმნა?***

— დავით უსუფაშვილის მხრიდან ელექტორალურად საინტერესო პოლიტიკური გაერთიანების შექმნა ნაკლებად მოსალოდნელია. მისი სახით შეიძლება ინტელექტუალური ცენტრი გაჩნდეს პოლიტიკაში, რაც მისასალმებელია.

სერიოზული პარტნიორების გარეშე ის არსებულ რეალობაში რაიმე სახის სერიოზულ ცვლილებებს ვერ მოახდენს.

***— ოპოზიციის გაერთიანების შანსებზე რას ფიქრობთ? გააერთიანებს ბოიკოტი მონათესავე პარტიებს?***

— პარტიების გამსხვილება სასურველია. 100 ერთკაციანი პარტია რომ გვყავს, ამას ბევრად სჯობია, თუ ერთი 100-კაციანი პარტია გვეყოლება. რატომ? ამ გამსხვილებით პარტიების შანსებიც იზრდება და პოლიტიკური პროცესიც დაიწმინდება.

მეორე მხრივ, ამის გაკეთება კანონის ძალით არ მიმაჩნია სწორად. ეს მაინც არის ბუნებრივი პროცესი და ბუნებრივად უნდა მოხდეს ეს ყველაფერი. ხელოვნური შეზღუდვების დაწესებით სასურველი შედეგის მიღება არასწორია.

***— ხელოვნური შეზღუდვების დაწესება, მათი აზრის გაუთვალისწინებლობა ხომ არ უბიძგებს ოპოზიციას, პროცესები ქუჩაში გადაიტანოს?***

— ფაქტია, რომ ხელისუფლება დაადგა ძალიან მოლიპულ გზას. ეს ნაწილობრივ იმით არის განპირობებული, რომ ხელისუფლებაში ისეთი ხალხია, რომელსაც არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არა აქვს. მათ, ეტყობა, ისტორიის წიგნების არსებობაც არ იციან, თორემ წაიკითხავდნენ და ნახავდნენ, რით მთავრდება ასეთი ქმედებები.

„ქართული ოცნება" სახიფათო გზით მიდის. ძალაუფლების უზურპაციის რისკი ძალიან მაღალია, მაგრამ ტენდენციებია ძალიან სარისკო და არასასურველი. ასეთი ტიპის აგრესიას საზოგადოებაც ადეკვატური აგრესიით პასუხობს.

რამდენად მოახერხებს საზოგადოების პროტესტის კონსოლიდირებას პოლიტიკური ელიტა, აქ კითხვის ნიშნები არსებობს. რადგანაც ამის მოთხოვნილება არსებობს, ვიღაც აუცილებლად გამოჩნდება, რომელიც ამ განწყობის კაპიტალიზაციას მოახერხებს.

ასე თუ განვითარდა მოვლენები და საარჩევნო გზით ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელი გახდება, ვიღაც აუცილებლად დაიძრება მორიგი რევოლუციის მიმართულებით. ამის შანსები, სამწუხაროდ, არსებობს.

***— ხელისუფლება მოლიპულ გზას დაადგაო, ამბობთ და არ ეშინიათ, რომ ფეხი დაუცდეთ? თქვენ ხშირად ამბობთ, რომ „ოცნებას" ყველაფერში ივანიშვილის იმედი აქვს, მოლიპულ გზაზეც მისი იმედით ხომ არ დადიან?***

— რა თქმა უნდა, მისი იმედით დაადგნენ ამ გზას. მე ვერ გეტყვით, ამ პროცესში რამდენად მონაწილეობს ან არ მონაწილეობს ივანიშვილი, ფაქტია, რომ ის მისი ნიშნით მიმდინარეობს. მთელი „ქართული ოცნება" დღემდე მისით პარაზიტირებს. „ოცნება" არის ხუხულა, რომელიც ივანიშვილის გარეშე დაიშლება.

მისი ერთადერთი გამაერთიანებელი არის ბიძინა ივანიშვილის ხატება. მმართველ გუნდში სხვა ლიდერი არ არსებობს. პრემიერ-მინისტრის ლიდერობაზე საუბარი არასერიოზულია. მის გარდა, სხვაც არავინ ჩანს.

***— პარლამენტის თავმჯდომარეზე რას იტყვით?***

— ამ ადამიანზე ლაპარაკიც კი არ მინდა.

***— თუ „ოცნებას" მოლიპულ გზაზე ფეხი დაუცდება, შეძლებს ივანიშვილი კიდევ ერთხელ მათ შველას?***

— აუცილებლად დაეხმარება. ის ამ პოლიტიკური ელიტის მიმართ ვალდებულებას გრძნობს — ის ისე მოიქცევა, როგორც იქცევა ნებისმიერი მამა საქართველოში. ჩვენთან ხომ ასეთი წესი არსებობს, რაც უნდა უსაქმური შვილი გყავდეს, შენი შესანახია.

ამასთან, ხელისუფლებას კარგად უნდა ესმოდეს, რომ არც ივანიშვილის შესაძლებლობებია უსაზღვრო.

***— ამით რისი თქმა გინდათ, რომ ერთხელაც იქნება და ის ველარ უშველის „ქართულ ოცნებას"?***

— საზოგადოებაში ძალიან დიდი პროტესტის განცდაა დაგროვილი. მის განსამუხტად ხელისუფლება არაფერს აკეთებს. ისე მიდის პროცესები, რომ ისიც ველარ მოერევა ქვეყანაში არსებული პრობლემების ტალღას.

## თამარ კეკენაძე: „ქართულ ოცნებას" დეოკუპაციის პოლიტიკა არ აქვს"



„თავისუფალი დემოკრატების" გენერალური მდივანი თამარ კეკენაძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტს გმობს. მისი განცხადებით, ლავროვის ვიზიტი რუსული ოკუპანტური პოლიტიკის ჩვეული გამოვლინებაა და ასევე, იმის ნათელი მაგალითი, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლებას არ აქვს ქვეყნის დეოკუპაციის მკაფიო და ეფექტური ხედვა.

— რუსეთის მხრიდან ასეთი პროვოკაციული ქმედებები არის მიზანმიმართული. ვიზალიბერალიზაციის კონტექსტში კიდევ უფრო აგრესიული გახდა რუსეთის ქმედებები და ეს პროცესი გაგრძელდება იქამდე, სანამ საქართველოს საკითხი არ დაბრუნდება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების რუსეთთან ურთიერთობის დღის წესრიგში.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ნათლად გამოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას არც პოლიტიკური ნება და არც რესურსი არ აქვს, გაატაროს სწორი საერთაშორისო პოლიტიკა ამ მიმართულებით. „თავისუფალ დემოკრატებს" არ გვაქვს მოლოდინი, რომ ამ კუთხით არსებითი ცვლილების განხორციელება შესაძლებელია „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის რეალობაში, — განაცხადა თამარ კეკენაძემ.

„თავისუფალი დემოკრატების" გენერალური მდივნის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ლავროვის ვიზიტს მოჰყვეს მყისიერი და მკაცრი რეაგირება საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებისგან და კიდევ ერთხელ მოუწოდებს ხელისუფლებას, გააააქტიუროს მუშაობა საერთაშორისო საზოგადოებასთან და უზრუნველყოფს, რომ არც ერთი მაღალი დონის შეხვედრა არ ჩატარდეს საქართველოს საკითხის დასმის გარეშე.

## გიორგი გახარია: „ჩვენთვის მთავარია, მიწა იყოს ეკონომიკურ ბრუნვაში"



ჩვენთვის მთავარია, მიწა იყოს ეკონომიკურ ბრუნვაში, ეს არის ამოსავალი წერტილი, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

ეკონომიკის მინისტრმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას უპასუხა.

— სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ჯერ კიდევ პარლამენტშია და განხილვების ეტაპზეა. სხვადასხვა „ოფციაა", სხვადასხვა მიდგომაა. არსებობს სხვადასხვა მიმართულება, თუმცა ჩვენ, როგორც ეკონომიკის სამინისტრო, ვთვლით, რომ მთავარია, მიწა იყოს ეკონომიკურ ბრუნვაში, ეს არის ამოსავალი წერტილი. ჯერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული, — განაცხადა გახარიამ.

## ლევან ბერძენიშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებით მივიღებთ ერთპარტიულ, არაპოლიტიკურ, ჩამორჩენილ, საბჭოთა, ჩრდილოკორეულ პარლამენტს"

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას ნეგატიურად აფასებს. როგორც ბერძენიშვილმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, ამ ცვლილებებით ხელისუფლება ცდილობს, რომ საქართველოში შექმნას ერთპარტიული მმართველობა.

— საარჩევნო სისტემის ცვლილება იწვევს აბსოლუტურ მღელვარებას, რადგან ხელისუფლებამ ის სათავისოდ მოირგო, მათ შორის პროგრესულ ნაბიჯსაც უშნოდ დგამენ და პროგრესისგან არაფერი დარჩება. პროგრესულ ნაბიჯად მიმაჩნია გადასვლა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, თუმცა ამ გადაწყვეტილებას ახლავს ისეთი რამეები, რომლითაც ეს სწორი გადაწყვეტილება ხდება უაზრო და უსარგებლო. ვგულისხმობ იმას, რომ გამარჯვებულ პარტიას რჩება გაუნაწილებელი მანდატები, რაც არის ღრმად არასწორი ყველანაირი თვალსაზრისით. ასევე, ასეთ დროს ბარიერისა და ბლოკების აკრძალვის საკითხი მიუთითებს პირდაპირ იმაზე, რომ „ქართული ოცნება" ცდილობს შექმნას ერთპარტიული სახელმწიფო. ტოტალიტარული სახელმწიფოებიც კი აღარ არიან ერთპარტიული. რატომ გადაუბრუნდათ ასე ტვინი, რატომ აშენებენ 21-ე საუკუნეში საბჭოთა კავშირს, გაუგებარია, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

მისივე თქმით, „საქართველოს კონსტიტუციის ჭრა-კერვის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ასეთი რამ, რასაც ახლა ვიღებთ, ჯერ არ გვქონია".

— ვინ როდის იტყვის ბოიკოტს, ეს მეორე მნიშვნელობის ნაწილია. ჩვენ გვექნება ძალიან ცუდი კონსტიტუცია და ძალიან ცუდი პრაქტიკა. ჩვენ მივიღებთ პრინციპულად ერთპარტიულ, ანუ უპარტიო, ანუ არაპოლიტიკურ, ანუ ჩამორჩენილ, ანუ საბჭოთა, ანუ ჩრდილოკორეულ პარლამენტს, — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, იგი მიიჩნევს, რომ ეს უმრავლესობას სჭირდებოდა იმისთვის, რომ მთავარი პრობლემა დაემალა და საპარლამენტო არჩევნებიდან საზოგადოების ყურადღება გადაეტანა.



— იმ ვითარებაში, როდესაც კონსტიტუციით არ არის გარანტირებული პლურალიზმი, როდესაც თეორიულად არ არის გამორიცხული ერთპარტიული პარლამენტი, ამ ვითარებაში პრეზიდენტის არჩევა რაიმე კოლეგიის მხრიდან, მიმაჩნია დაუშვებლად. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტი უბრალოდ დაინიშნება მმართველი პარტიის მიერ. პრეზიდენტს შესაძლოა ნიშნავდეს კოლეგია, რომელიც მრავალპარტიულია. ერთპარტიული საბჭოთა კავშირი ნიშნავდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გენერალური მდივანი იყო ყველაფერი. ჩვენ ახლა გვყავს გენერალური მდივანი, რომელიც თან კონსტიტუციის მიღმაა, არსად ჩანს კონსტიტუციაში საქართველოს მთავარი პირი ბიძინა ივანიშვილი და ყველამ იცის, რომ ისე უნდა მართოს ქვეყანა, რომ კონსტიტუცია მასზე იყოს მორგებული, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნონა ცაბაძე

# მამუკა არეშიძე: „ერდოღანისგან ვერ გაიგებ, რა უნდა“

## რა შედეგს მოუტანს თურქეთის რეფერენდუმი საქართველოს

**თურქეთში საკონსტიტუციო ცვლილებების გასატარებლად რეფერენდუმი ჩატარდა. რას გულისხმობს თურქეთის მმართველი ძალის იდეოლოგია, ხიფათის შემცველია თუ არა საქართველოსთვის თურქეთის საკონსტიტუციო ცვლილებები? რაზეა ორიენტირებული აღნიშნული ცვლილებები? – „ახალი თაობის" ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, თურქეთში სერიოზული საკონსტიტუციო ცვლილებები გატარდება. რა მოცემულობა შეიქმნება, რას გულისხმობს ყოველივე და რამდენად საფრთხის შემცველია ჩვენთვის, როგორც თურქეთის მეზობელი ქვეყნისთვის?***

– ეს საკონსტიტუციო ცვლილებები მოფიქრებულია იმისთვის, რომ ერდოღანმა ხელისუფლება შეინარჩუნოს რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში. ეს არ არის განსაკუთრებული მოვლენა, რუსეთშიც მოხდა ამდაგვარი რამ და სხვაგანაც. თავისთავად არ არის სწორი, მაგრამ ასე ხდება.

***– ეს რა იდეოლოგიაა, რა სურს ერდოღანს?***

– ჩვენ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომელი პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენელია მმართველი ძალა თურქეთში. ამ პოლიტიკურ იდეოლოგიას ჰქვია პანისლამიზმი. თუ ადრე არსებობდა იდეოლოგია პანთურქიზმი, რომლის ერთ-ერთი მამამთავარი ქემალ ათათურქი იყო, ერდოღანის მმართველობის მეორე ნახევარში ეს შეიცვალა პანისლამისტური იდეოლოგიით.

***– და ეს რას გულისხმობს?***

– ეს პანისლამისტური იდეოლოგია გულისხმობს ოსმალეთის იმპერიის დროს არსებული გავლენების აღდგენას.



***– კონკრეტულად?***

– მიმდებარე ტერიტორიებზე, იმ ტერიტორიაზე, რომლის ფარგლებშიც არსებობდა ოსმალეთის იმპერია. ეს არის ერაყი, სირია, არაბული სამყაროს ნაწილი, ეს არის ბალკანეთის რეგიონი, კავკასიის რეგიონი და ასე შემდეგ. აქ არ იგულისხმება, რომ პირველ რიგში აუცილებლად სამხედრო პოლიტიკის გზით მოხდება. უნდა მოხდეს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული გზით და შემდეგში ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ აქტივობას თან ახლავს პოლიტიკური მიზნები.

***– ჩვენი ქვეყნისთვის რამდენად საფრთხის შემცველია თურქეთის ახალი პოლიტიკა?***

– ყველაფერი საფრთხის შემცველია, ნებისმიერი აქტივობა სამეზობლოსი, თუ შენ არ ხარ მზად და არ გაქვს კონტროლონისძიება. ისტორიულად, თურქეთი აკონტროლებდა დასავლეთ საქართველოს. სწორედ მაგ კონტროლის აღდგენა უნდა, მაგრამ აჭარა არის უნიკალური მოვლენა ამ გავლენის აღდგენის კონტექსტში.

***– რას გულისხმობთ?***

– აჭარა კარგა ხნის განმავლობაში არა მხოლოდ გავლენის სფერო იყო, არამედ თურქეთის ნაწილი იყო 1878 წლამდე. აქედან გამომდინარე, რასაც ჩვენ ვხედავთ, ეს თურქული კაპიტალისა თუ თურქული ჰუმანიტარული ორგანიზაციების აქტივობას, ეს არის იმ იდეოლოგიის ნაწილი, რომლის აპოლოგეტი არის დღეს ოფიციალური ანკარა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის პოლიტიკური წრეები სულ იმაზე ლაპარაკობენ, რომ ტერიტორიული პრეტენზია მათ საქართველოსთან არა აქვთ და ასე შემდეგ, ეს არაფერს ნიშნავს. დღეს ახალი მიდგომებია მსოფლიოში, გეოპოლიტიკური ინტერესების მოპოვება არ ხდება აუცილებლად ტერიტორიის წართმევის ხარჯზე.

***– აბა რის ხარჯზე ხდება?***

– ხდება ეკონომიკური და ჰუმანიტარული ბერკეტების ამუშავების გზით, ამ მხრივ არის რუსეთისგან განსხვავებული დღევანდელი მსოფლიო. რუსეთი ძველებურად, ისევ ტერიტორიების წართმევის ხარჯზე მოქმედებს, დანარჩენები მოქმედებენ იდეოლოგიის ხარჯზე, ეკონომიკის ხარჯზე, ფულის ხარჯზე, ჰუმანიტარული ორგანიზაციების შექმნის ხარჯზე და ასე შემდეგ.

***– ევროპა შეშფოთებას გამოხატავს თურქეთში ჩატარებულ რეფერენდუმთან დაკავშირებით, ხოლო ამერიკის პრეზიდენტმა მიულოცა ერდოღანს ეს წარმატება. ასევე საქართველოს ხელისუფლებამ.***

– ეს დიპლომატიური ფორმატია, თორემ როგორ უშლის ნერვებს ბევრს ერდოღანი, ყველამ კარგად იცით. უშლის იმიტომ, რომ ერდოღანი ძალიან არასანდო პარტნიორია და მეორეც, ის ყოველთვის ცდილობს, რომ სხვისი ინტერესების ხარჯზე თავისი თამაში ითამაშოს. ერდოღანისგან ვერ გაიგებ, რა უნდა. ხან რუსეთის მეგობარი ხდება, ხან ამერიკის მეგობრობას უბრუნდება, აი ასეთი ეკლექტური პოლიტიკოსია. სწორედ ამიტომაც იყო, რომ თურქეთის მოსახლეობის მხოლოდ 51%-მა დაუჭირა მხარი რეფერენდუმით გათვალისწინებულ ამ ცვლილებებს და არც ერთმა დიდმა ქალაქმა არ დაუჭირა მხარი.

***– ეს ცუდი შედეგია მისთვის?***

– არც ანკარამ, არც სტამბულმა მას მხარი არ დაუჭირა, მისთვის ეს ძალიან ცუდი შედეგია. ერდოღანმა მოიგო საქმეში ჩაუხედავი რეგიონების ხარჯზე. მან მთელი თავისი წინასარეფერენდუმო პროპაგანდა ააგო იმაზე, რომ არიქა, კინაღამ თურქეთი გაიხლიჩა ორად, სამოქალაქო დაპირისპირება და ასე შემდეგ. ის სამოქალაქო დაპირისპირება ვის მიერ იყო ინსპირირებული, ეს კიდევ საკითხავია.

***– ის საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს თურქეთში, ერდოღანის პოზიციებს საფრთხეს არ უქმნის?***

– რეფერენდუმის შედეგი აღიარებული იქნება და დაიწყება ეს პროცედურები და მას პოზიციები უკვე გამყარებული აქვს. დღეს და ხვალ არაფერი ისეთი არ მოხდება. მომავალში არ არის გამორიცხული, რომ ერდოღანის პოლიტიკით უკმაყოფილოთა რიცხვი გაიზარდოს. მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმმა გამარჯვება მოუტანა ერდოღანს, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს არის საერთო თურქული საზოგადოების განწყობის გამოხატვა, იმიტომ, რომ მან ძალიან დაბალი პროცენტით მოიგო.

# რა კულუარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს რუსეთი სოხუმთან და ცხინვალთან

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ჩატარებულ არჩევნებსა და რეფერენდუმებს არ ცნობს საერთაშორისო საზოგადოება. რუსეთის გარდა, აფხაზეთისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს ხელისუფლებად არავინ აღიარებს.**



ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმის ახალარჩეულმა ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა არჩევნების წინ და მანამდეც პირობა დადო, რომ „სამხრეთ ოსეთ-ალანიას“ რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანს.

ჟურნალი „ვლასტ“ ირწმუნება, რომ „პრეზიდენტ“ ბიბილოვის დაპირება ვერ შესრულდება, ვინაიდან, მოსკოვი არაა დაინტერესებული „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთში შეყვანით.

– საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობის გამწვავების პერსპექტივის გარდა, სამხრეთ ოსეთის ინტეგრაციით შეიძლება მთლიანად მოიშალოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, – აღნიშნავს რუსული გამოცემა.

რატომ წუხს ოკუპანტი რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესებაზე?

„ვლასტ“-ის შეფასებით, რუსეთს თავისი სტრატეგიული ინტერესი ამოძრავებს. ამაზე დამოკიდებულია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ერთადერთი გეოპოლიტიკური პარტნიორის, სომხეთის ბედი.

რუსეთს სომხეთთან დასაკავშირებლად სჭირდება სატრანსპორტო დერეფანი. ის საჭიროა არა მხოლოდ ეკონომიკური კავშირების, არამედ – სამხედრო მიზნებისთვისაც. რუსეთს სომხეთში სამხედრო ბაზები აქვს და მათი მომარაგება რუსეთის გადაუდებელი ამოცანაა. განსაკუთრებით, საქართველო-ნატოს ინტენსიური თანამშრომლობისას.

ერთადერთი სახმელეთო სატრანსპორტო დერეფანი რუსეთსა და სომხეთს შორის საქართველოს სამხედრო გზაა ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის გავლით. ეს გზა არასაკმარისია. მისი ერთადერთი ალტერნატივაა სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლა საზღვაო ნავსადგურ კავკაზ-ფოთის მეშვეობით. მისი გამტარუნარიანობა დაბალია, ტვირთების გადაზიდვა კი – ძვირი.




იმისთვის, რომ რუსეთს სომხეთთან დასაკავშირებელი ახალი სახმელეთო გზა ჰქონდეს, რუსეთი მრავალი წელია, სინჯავს ნიადაგს თბილისთან, ასევე, კულუარულ მოლაპარაკებებს აგრძელებს სოხუმთან და ცხინვალთან.

ამ მიმართულებით პირველი მცდელობა იყო ამიერკავკასიის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის რეანიმაცია. ფსოუდან ოჩამჩირემდე მატარებლები მოძრაობენ. რკინიგზა არ მუშაობს გალის რაიონის ტერიტორიაზე.

გამოცემის სიტყვებით, ამ რკინიგზის ამოქმედებას არ უჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლება. ის მოითხოვს საქართველოს ინტერესის დაცვას. ამას არ მიესალმება აფხაზეთის ხელისუფლება და ოპოზიციაც. აფხაზები ამბობენ, რომ თუ რკინიგზა აღდგა, მან მარტო ტვირთები უნდა გადაზიდოს, იგი არ უნდა გამოიყენონ საქართველოს მოქალაქეებმა.

რუსეთსა და სომხეთს სხვა სახმელეთო სატრანსპორტო პროექტების აღორძინებაც აქვთ ჩაფიქრებული. ესაა ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ ოსეთს, ცხინვალის რეგიონს და საქართველოს სხვა კუთხეებს. ასევე არსებობს სოჭი-ზუგდიდის ავტომაგისტრალის პროექტი.

„ვლასტ“-ის ცნობით, ამას ენთუზიაზმით არ ხვდებიან ცხინვალში. მით უმეტეს, აფხაზეთში. ამიტომ რუსეთს უწევს კულუარული მუშაობა ამ მიმართულებით.

ექსპერტებს არ სჯერათ, რომ ლავროვი სოხუმში საელჩოს ახალი შენობის გახსნის ცერემონიალზე დასასწრებად ჩავიდა. მისი მიზანია, პარტნიორებს რუსეთის სტრატეგიულ მიზნებზე დაელაპარაკოს.

# მიხეილ ჯანელიძე: „ვხედავთ, რომ რუსეთი აგრძელებს პროვოკაციულ ნაბიჯებს“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ოკუპირებულ აფხაზეთში დაგეგმილ ვიზიტს პროვოკაციულ ნაბიჯად აფასებს.

როგორც მიხეილ ჯანელიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, საერთაშორისო საზოგადოება მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს და ყოველთვის იქნება საქართველოს გვერდით, როდესაც საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზეა საუბარი.

– ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი აგრძელებს პროვოკაციულ ნაბიჯებს და ქმედებებს. სამწუხაროდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი პირველი არ არის ოკუპირებულ რეგიონებში. ვიზიტები 2008, 2009 და 2011 წლებშიც განხორციელდა. ეს არის სრული იგნორირება საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ნორმების და პრინციპების.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო საზოგადოება უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს და ყოველთვის იქნება საქართველოს გვერდით, როდესაც საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე ვსაუბრობთ, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი 18-19 აპრილს სამუშაო ვიზიტით ოკუპირებულ აფხაზეთს ეწვევა. აღნიშნულის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მარია ზახაროვამ განაცხადა.

– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი 18-19 აპრილს სამუშაო ვიზიტით აფხაზეთს ეწვევა. 18 აპრილს, მინისტრი მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთში რუსეთის საელჩოს ახალი შენობის გახსნის საზეიმო ცერემონიალში. 19 აპრილს, სოხუმში, სერგეი ლავროვსა და აფხაზეთის პრეზიდენტს შორის მოლაპარაკებები გაიმართება, – განაცხადა მარია ზახაროვამ.

ზახაროვას თქმით, მოლაპარაკებების ფარგლებში მხარეები ორმხრივი ურთიერთობების ძირითად საკითხებს განიხილავენ, ასევე აფხაზეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისა და რუსეთ-აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის ურთიერთქმედების კოორდინაციის საკითხს.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ჯემალ გამახარია: „ლავროვი აფხაზეთიდან ევროპას ემუქრება“

გულიკო ბალაძე

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის აფხაზეთში ვიზიტსა და იქ რუსული საელჩოს გახსნას აფასებს.**

***– როგორ აფასებთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის აფხაზეთში ვიზიტსა და სოხუმში საელჩოს გახსნას?***

– ბატონი ლავროვის აფხაზეთში ჩამოსვლა, უპირველეს ყოვლისა, არის საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვა. თვითონ საელჩოს გახსნაც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. მოგეხსენებათ, ახლა ბრწყინვალე შვიდეულია. ამ დროს ლავროვი ჩამოდის სოხუმში, სადაც მთელი ქალაქი, მისი ქუჩები მორწყულია გენოციდის შედეგად დახოცილი ადამიანების სისხლით და ცრემლით, იქიდან გამოდევნილი ადამიანების სისხლითა და ცრემლით. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ლავროვის ვიზიტი შეუსაბამოა არა მარტო საერთაშორისო სამართალთან, არამედ ქრისტიანულ მორალთანაც.

***– კრემლის მესვეურებისთვის საერთაშორისო სამართალი ან ქრისტიანული მორალი რაიმეს ნიშნავს?***

–კრემლისთვის არც საერთაშორისო სამართალი ნიშნავს რაიმეს, არც ქრისტიანული მორალი და არც – ადამიანურობა. საკითხის მეორე მხარე უფრო მნიშვნელოვანია.

***– კერძოდ?***

– მხოლოდ მიამიტ ადამიანებს შეუძლიათ დაიჯერონ, რომ ლავროვი ჩამოვიდა სოხუმში მხოლოდ იმისთვის, რომ საელჩოს შენობა გახსნას და ხაჯიმბას დაელაპარაკოს. ქვეყანა თავზე ენგრევა. აშშ არის ძალიან გააქტიურებული, როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური თვალსაზრისით. აშშ-ის საპასუხო რეაქცია სირიის სამთავრობო ჯარების ქმედებაზე, ფაქტობრივად, რუსეთზე დარტყმაც იყო. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა სასტიკი მარცხი განიცადა, თვით ჩინეთმაც კი მას მხარი არ დაუჭირა.



ლავროვს ბაბუშერას აეროპორტში ყანწით დახვდნენ

***– ამ სიტუაციაში აფხაზეთში ვიზიტი რას ნიშნავს, რა მიზანი აქვს ლავროვის სოხუმში ყოფნას?***

– საელჩოს ახალი შენობის გახსნა მხოლოდ საბაბია. ნამდვილი მიზანი ისაა, რომ აფხაზეთის ტერიტორიიდან, რომელიც არც ისე შორს მდებარეობს სირიიდან, არც ისე შორს არის ევროპისგან, საერთაშორისო საზოგადოებას ემუქრება.

***– რას შეიძლება მივაწეროთ რუსეთის ასეთი ქმედებები?***

– საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეაფასა გლობალური საფრთხე, რომელსაც შეიცავდა და შეიცავს აფხაზეთის რუსული ოკუპაცია-ანექსია, შემოიფარგლა მხოლოდ განცხადებებით, თითქოს ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა იყო და არა – მთელი საერთაშორისო საზოგადოების პრობლემა. რუსეთმა ამით ისარგებლა და ყირიმის შემდეგ აფხაზეთში შექმნა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ბაზა შავ ზღვაზე. ეს მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ კი არა, ევროპის წინააღმდეგაც არის მიმართული. აქედან გამომდინარე, დასავლეთმა, ნატომ და საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

***– კერძოდ, რა დასკვნები უნდა გააკეთონ?***

– შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ.

***– რუსეთი საქართველოს პროვოცირებასაც ხომ არ ცდილობს?***

– ამ ეტაპზე პროვოცირება ნაკლებადაა შესაძლებელი. რუსეთის წინააღმდეგ სამართლებრივი ზომები უნდა იქნას მიღებული. ამის გაკეთება საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით შეიძლება. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მთავრობა არა მხოლოდ გმობს ლავროვის ვიზიტს, არამედ მოვუწოდებთ თბილისში არსებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, დაგმონ რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთთან დაკავშირებით და მოუწოდონ რუსეთს, მოახდინოს ამ ტერიტორიის დეოკუპაცია.

***– ამ კუთხით საგარეო საქმეთა სამინისტრო როგორ მუშაობს?***

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბოლო პერიოდში ეფექტურად მუშაობს. გაერომ მიიღო სპეციალური განცხადება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. მოვუწოდებთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, გააგრძელოს აღნიშნული ძალისხმევა, რომ აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხი ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით რუსებისთვის დაწესებული სანქციების კონტექსტში იქნას განხილული.



***– თქვენ სამართლებრივი ბერკეტების ამოქმედება ახსენეთ. საერთაშორისო სასამართლოებში ჩივილს გულისხმობთ?***

– ჩვენ მივმართავთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული სამხედრო ბაზების, ე.წ. გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმებების გაუქმების მიზნით, საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საკითხი განიხილოს და დაიწყოს შესაბამისი პროცედურები.

ამის გაკეთება ჩვენ, როგორც ავტონომიას, არ შეგვიძლია, მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია. ამის გაკეთება აუცილებელია ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციასა და დეოკუპაციასთან დაკავშირებით.

***– საქართველო რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს უნდა შეუერთდეს?***

– საუბარი არ არის სანქციებისთვის შეერთებაზე. საქართველო სანქციებს შეუერთდება თუ არა, ამას რუსეთისთვის მნიშვნელობა არ აქვს. პირიქით, სანქციებზე შეერთება საქართველოსთვის საზიანოც შეიძლება იყოს. საერთაშორისო სანქციები, რომლებიც რუსეთს დაუწესეს ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით, გავრცელდეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზეც.

***– ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით თქვენს წინადადებებზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან ხომ არ გიმსჯელიათ?***

– ამ საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან სპეციალურად არ გვისაუბრია, მაგრამ ეს საკითხები და ჩვენი წინადადებები ჩვენ არაერთ განცხადებაშია ასახული.

***– აღდგომის დღესასწაულზე აფხაზეთსა და ცხინვალში ადამიანები ახლობლების საფლავებთან არ მიუშვეს. ხაჯიმბა კი ამ დღესასწაულთან დაკავშირებით თითქოს აღმატებულად საუბრობს. რანაირი ქრისტიანული სახელმწიფოა რუსეთი, ან რანაირი ქრისტიანები არიან აფხაზები, რომ ადამიანები სასაფლაოებთან არ მიუშვეს?***

– მათი ქცევა წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ საერთაშორისო სამართალთან, არამედ ქრისტიანულ მორალსა და ადამიანურობასთან. სამწუხაროდ, კრემლს არც ერთი და არც მეორე არ გააჩნია.

# აფხაზმა დეპუტატებმა სამსახურის მანქანებზე უარი თქვეს

## „როცა ხალხს უჭირს, ჩვენ ფუფუნებაში ყოფნის უფლება არ გვაქვს“

შორენა მარსაგიშვილი

ქართველ პოლიტიკოსებს სამსახურებრივ მანქანებზე ერთი წივილ-კივილი აქვთ ატეხილი. ხალხზე მზრუნველის იმიჯის შექმნის მიუხედავად, კომფორტზე უარს ვერ ამბობენ.

ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, აშკარად უფრო კარგად აზროვნებენ ოკუპირებულ აფხაზეთში. ახლად არჩეული პარლამენტის ორმა დეპუტატმა უარი თქვა სახელმწიფოებრივი მანქანების გამოყენებაზე.

გუშინ, 18 აპრილს გამართულ სხდომაზე დეპუტატებმა ვიანორ ბებიამ და იური ხაგუშმა ოფიციალურად უარყვეს სამსახურის მანქანები.

– სამსახურამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც შეგვიძლია მოსვლა. ეს არ არის საშინელება. ჩვენ პარლამენტში მანქანებისთვის არ მოვსულვართ, – განაცხადა ხაგუშმა.

მისმა განცხადებამ მისი კოლეგა ბატალ ტაბაღუა აღაფრთოვანა. აფხაზი კანონმდებლის თქმით, 2012 წლამდე აფხაზეთში არც ერთი დეპუტატი სამსახურის მანქანით არ სარგებლობდა.

– როდესაც ჩვენ გვირჩევდნენ, არავის უთქვამს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ავტომობილით უზრუნველგვყოფდნენ, – აღნიშნა ტაბაღუამ.

ხაგუშის წინადადება დეპუტატ ვიანორ ბებიასთვის იმდენად მომხიბვლელი აღმოჩნდა, რომ სამსახურებრივი მანქანა მანაც საჯაროდ შეაჩვენა.

– ადამიანებს სერიოზულად აშფოთებს ის ფაქტი, რომ გაჭირვებულ ქვეყანაში ჩვენ საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლებას ვაძლევთ. როცა ხალხს უჭირს, ჩვენ ფუფუნებაში ყოფნის უფლება არ გვაქვს, – აღნიშნა ბებიამ.

დეპუტატმა თავის გამოსვლაში ჩვეულებრივი პენსიონერების და დეპუტატების პენსიებს შორის სხვაობაზეც ისაუბრა.

– ხალხს აინტერესებს, რატომ უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივ პენსიონერს 500 რუბლი პენსია, მაშინ როცა, დეპუტატები პენსიის სახით 1.500 რუბლს მივიღებთ, – აღნიშნა აფხაზმა კანონმდებელმა.



დეპუტატებისა და ჩვეულებრივი პენსიონერების პენსიას შორის განსხვავება საქართველოშიც ძალიან დიდია, თუმცა არც ერთ ქართველ კანონმდებელს თავში აზრად არ მოსვლია ამ ფაქტის გაპროტესტება. სავარაუდოდ, არც მათი სინდისი უნდა იტანჯებოდეს ამ გაუმართლებელი სხვაობის გამო.

ქართველი დეპუტატების მსგავსად ფიქრობს ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარე ვალერი კვარჩია.

მისი აზრით, დაუშვებელია, დეპუტატებს მანქანა არ ემსახურებოდეს.

– ავტომობილი არ არის პრივილეგია, ეს გადაადგილების საშუალებაა, – აღნიშნა სპიკერმა.

აფხაზური მედიის ცნობით, მანქანების თემაზე პარლამენტი მომავალშიც იმსჯელებს. კანონმდებლები მიიჩნევენ, რომ ჯერ ყველამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დადგეს საკითხი კენჭისყრაზე.

დეპუტატების ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონმდებლებს სამსახურის მანქანებით სარგებლობა კანონით უნდა შეეზღუდოთ.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***ში, მაგრამ მაშინ არ გაუქმებულა.***

– ვისურვებდი, რომ ეს მომხდარიყო თუნდაც მაშინ, როდესაც ნაციონალური მოძრაობა იყო ხელისუფლებაში. მე ვმუშაობდი არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც საარჩევნო კოდექსის ცვლილებებზე მუშაობდა და მხარს უჭერდა ამ პროცესს. კარგი იქნებოდა, რომ ეს ცვლილებები თუნდაც მაშინ დაწყებულიყო, როდესაც ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში იყო, მაგრამ სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მაშინ ეს ვერ მოხდა.

ახლაც არ მოხდა პოლიტიკური მიზეზების გამო იმ ვარიანტის მიღება, რომელიც ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს უზრუნველყოფს ქვეყანაში.

# თინათინ ბოკუჩავა: „ჯობდა, რომ მაჟორიტარული არჩევნები ნაციონალურ მოძრაობას გაეუქმებინა“

...ქვეყანაში. ჯანსაღი საარჩევნო სისტემით დაინტერესებულია საქართველოს ყველა ის მოქალაქე, რომელიც ხმას აძლევს არჩევნებზე, რომ მას ჰყავდეს თავისი რჩეული საქართველოს პარლამენტში. თუმცა, შემოთავაზებული სისტემა ამ პირობას ვერ უზრუნველყოფს. მოგებულს მიაქვს ყველაფერი – არის ის სისტემა, რომელსაც „ქართული ოცნება“ გვთავაზობს.

***– 5%-იანი ბარიერი მისაღებია?***

– ბარიერის დაწევაზე ნამდვილად შეიძლებოდა საუბარი იმისთვის, რომ პოლიტიკური პლურალიზმი კიდევ უფრო გაიზარდოს ქვეყანაში, პატარ-პატარა პოლიტიკურ პარტიებს რომ მიეცეთ მეტი შესაძლებლობები, რომ ჰყავდეთ მათაც წარმომადგენლები პარლამენტში, მაგრამ ამაზე უფრო მტკივნეული საკითხი არის, საარჩევნო ბლოკები რომ იკრძალება.

***– თუმცა, ნაციონალურ მოძრაობას არაერთგზის უთქვამს, რომ ის არის თვითკმარი პოლიტიკური ძალა.***

– ჩვენ, როგორც მთავარი ოპოზიციური პარტია, ნამდვილად არ ვდგავართ იმ გამოწვევის წინაშე, რომ ნებისმიერი საარჩევნო ბარიერი ვერ გადავლახოთ, არც კოალიციის, ბლოკის აკრძალვის საკითხი არ არის ჩვენთვის ესოდენ მტკივნეული, ეს არ გვაწუხებს, მაგრამ აქ ხელისუფლების პოლიტიკური გზავნილი იკითხება. ხელისუფლებამ გაერთიანებულ ოპოზიციაში დაინახა სწორედ საფრთხე. ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ არ მოხდეს ოპოზიციის არავითარი გაერთიანება.

***– გამორიცხავთ, რომ საარჩევნო ბლოკის შეკვრა დაგჭირდეთ ვინმესთან?***

– პოლიტიკოსმა არაფერი უნდა გამორიცხოს არასდროს, მაგრამ ჩვენ წარმოვადგენთ მთავარ ოპოზიციურ ძალას და საარჩევნო კონკურენტუნარიანობის პრობლემა ნამდვილად არ გვიდგას. თუმცა, ჩვენი ამოსავალი წერტილი არ არის ვიწროპარტიული ინტერესები, ჩვენი ამოსავალი წერტილი ამ ქვეყნის უკეთესი მომავალია. შესაბამისად, ვაპირებთ, სწორედ ამ ინტერესიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ.

***– ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით, ნაციონალური მოძრაობა კვლავ რჩება მთავარ ოპოზიციურ ძალად?***

– რა თქმა უნდა. ეს საკონსტიტუციო ცვლილებები პოლიტიკურ ლანდშაფტს ნამდვილად არ ცვლის, რადგან ჩვენი ეს პოზიცია, რომელიც გვაქვს, ხალხის ნებიდან გამომდინარეობს. ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის ის ადამიანებიც კი, რომლებიც ჩვენს პარტიას მხარს არ უჭერენ, ნათლად ხედავენ, რომ ნაციონალური მოძრაობა არის ერთადერთი ალტერნატიული ძალა ქვეყანაში.

# დავით ასლანიშვილი: „თუ ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების სესხების საკითხი არ მოაგვარა, ფინანსთა სამინისტროს სამუშაო წყალში ჩაეყრება“

ბოლო 6 თვეში პირველად ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართ 2.40-იან ნიშნულს ჩამოცდა და ერთი აშშ დოლარის ღირებულება 2.396 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალი კურსი 2017 წლის 9 იანვარს დაფიქსირდა და 2.7674 ნიშნული შეადგინა.

რამ განაპირობა ბოლო პერიოდში ლარის კურსის ასეთი მკვეთრი გამყარება და რა პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა მიმდინარე პროცესები, აღნიშნულ საკითხზე „კომერსანტმა“ საბანკო ექსპერტები გამოკითხა.

საბანკო ექსპერტი დავით ასლანიშვილი ლარის კურის გამყარებაში მთავარ ინდიკატორად სახელმწიფო ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებას ასახელებს. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტრომ ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად, 2017 წლის 1 კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტში 1 მილიარდ ლარზე მეტი შემოსავლების მიღება მოახერხა.

როგორც ასლანიშვილი განმარტავს, ფაქტობრივად, პირველი სამი თვის განმავლობაში ქვეყანას პროფიციტური ბიუჯეტი აქვს.

– გადაჭარბებით შესრულებულმა ბიუჯეტმა განაპირობა ის, რომ მიმოქცევაში არსებული ლარიდან 1 მილიარდი ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზეა მობილიზებული. ანუ ამოვიდა მიმოქცევიდან და ფაქტობრივად, ყიდვა-გაყიდვის პროცესში (სავალუტო კურსებს შორის) არ მონაწილეობდა. ამან შეამსუბუქა ლარის რაოდენობა ბაზარზე, რამაც ლარის გამყარებას შეუწყო ხელი, – აცხადებს ასლანიშვილი.

როგორც ასლანიშვილი განმარტავს, ლარის გამყარების საფუძველი ასევე გახდა საკმაოდ კარგი ტურისტული სეზონი.

რაც შეეხება პროგნოზს, ასლანიშვილი განმარტავს, რომ მომავალ თვეებში ბიუჯეტის შესრულება ასევე პოზიტიური იქნება და ეს ავტომატურად იმოქმედებს ლარის კურსზე. თუმ-



ცა, როგორც ექსპერტი განმარტავს, მიუხედავად ამისა, თუ მხოლოდ ამის იმედზე ვიყავით და ეროვნულმა ბანკმა არ მოაგვარა პრობლემა, რომელიც ეხება მისი მხრიდან კომერციულ ბანკებზე არანორმალური რაოდენობის რეფინანსირების სესხების გაცემას, მთელი ეს სამუშაო, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო და საგადასახადო სამსახური სანიმუშოდ ეწევა, წყალში ჩაიყრება.

– სანამ ეროვნული ბანკი რეფინანსირების პირამიდას არ მოაგვარებს, ლარის კურსის პროგნოზს ვერავინ გააკეთებს.

როდესაც არ ვიცით, რას აპირებს ეროვნული ბანკი და არც იმას ამბობს, რატომ გასცემს არანორმალურად დიდი რაოდენობის რეფინანსირების სესხებს, მანამდე პროგნოზირება და ლარის კურსზე საუბარი ზედმეტია, – აცხადებს ასლანიშვილი.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) ეკონომისტი ბესო ნამჩავაძე აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში პროცესები პოზიტიურად შემოტრიალდა. განსაკუთრებით ეს ეხება საგარეო ფაქტორებს. ნამჩავაძის შეფასებით, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან უკეთესი ვითარებაა, ეს კი განსაკუთრებით რუსეთს ეხება. სწრაფად მზარდია ექსპორტიც. გარდა ამისა, იზრდება ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან, ასევე გაზრდილია ტურიზმიც.

როგორც ნამჩავაძე აცხადებს, ფულის მასა ბოლო პერიოდში ერთ დონეზეა შენარჩუნებული. ასევე, შემოსავლები უფრო მეტია, ვიდრე ხარჯები. მისი განცხადებით, ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში (საშემოსავლო გადასახადიდან, დღგ-დან) 108 პროცენტით შესრულდა.

ნამჩავაძე განმარტავს, რომ ლარი გამყარებას გააგრძელებს, ამას კი ეროვნული ბანკის 12 აპრილის ქმედებაც მიუთითებს, როდესაც მან 10 მილიონი დოლარი შეისყიდა. – ეს ნიშნავს იმას, რომ ეროვნულ ბანკს აქვს გამყარების მოლოდინი და ცდილობს, რომ გამყარება ნელ-ნელა ხდებოდეს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მალე ტურისტების რაოდენობა მოიმატებს, ლარი კიდევ უფრო გამყარებისკენ წავა, – აცხადებს ნამჩავაძე.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 12 აპრილს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 10.000.000 აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა კი 2.3913 შეადგინა.

# გიგა ბათიაშვილი: „სამთავრობო ქალაქი, უმჯობესია, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მოეწყოს“



არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი დადებითად აფასებს თბილისში სამთავრობო ქალაქის მოწყობის იდეას, თუმცა საქართველოს მთავრობას ტერიტორიის არჩევანს უწუნებს და აცხადებს, რომ ასეთი ქალაქი არა ორთაჭალაში, არამედ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, საჯეირნოზე უნდა მოეწყოს, რომელიც ასევე საუკეთესო სარეკრეაციო ზონაა ტურისტული პერსპექტივებით.

როგორც „სითი კვირას“ გიგა ბათიაშვილმა განუცხადა, სასიხარულოა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თბილისში სამთავრობო ზონის შექმნის საკითხი რომ წამოჭრა, თუმცა მთავრობის მიერ შერჩეული ადგილი, ჯერ ერთი, წარმოადგენს საავტომობილო საქარავნო გზის ღერძზე წამოცმულ ზონას, მეორე – ეს ზონა არ არის განვითარებადი, თუმცა შესანიშნავია შერეული ფუნქციებისთვის, სკვერებისთვის, პარკებისთვის, საცხოვრებლისთვის, ადმინისტრაციული შენობებისთვის, სავაჭრო ორგანიზმებისთვის. სამთავრობო ზონას კი, განვითარების შესაძლებლობა სჭირდება.

– თბილისი ვიწრო ქალაქია. მისი ცხოვრების მაჯისცემა ძალიან კარგად ისმის იქ, სადაც სამთავრობო ზონაა. საპროტესტო გამოსვლების დროს პარალიზებულია სამთავრობო დაწესებულებები. ეს დისკომფორტს უქმნის განსხვავებული პოზიციის მქონე მოქალაქეებს. ამიტომ სასურველია, სამთავრობო ზონა გასული იყოს ისეთ ადგილზე, რომ არ იყოს წამოგებული ქალაქის უმთავრეს არტერიებზე. სად განვაწესოთ ეს ზონა? აი აქ ვერ ვეთანხმები მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებას, – განაცხადა გიგა ბათიაშვილმა.

?მისივე თქმით, თუ სად უკეთესია სამთავრობო ქალაქის მოწყობა, ამ კითხვას თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურმა გეგმამ უნდა უპასუხოს.

– ყველა თვალსაზრისით პერსპექტიულია თბილისის ზღვის ჩრდილო დასავლეთი მხარე. ანუ საიდანაც ავდივართ თბილისის ზღვაზე, იმის საპირისპირო მხარეს, ბიბლიური პეიზაჟია, იქ თავისებური სიმშვიდეა. საბედნიეროდ არ არის განაშენიანებული. ძალიან ადვილად უკავშირდება სამი მეტროსადგურით, გარშემო გზით და, თუ ბარათაშვილის ქუჩიდან ერთ პატარა, 70-მეტრიან მონაკვეთს გავჭრით, ჩვენ 10 წუთში ვიქნებით იქ, – აცხადებს არქიტექტორი.

?გიგა ბათიაშვილი მზადყოფნას გამოთქვამს, დეტალებში გააცნოს მთავრობას მთელი ამ პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

# „საქართველოს მთავრობამ უნდა შეზღუდოს საპარტნიორო ფონდის ბალანსი“

საქართველოს მთავრობამ უნდა შეზღუდოს და მონიტორინგი გაუწიოს საპარტნიორო ფონდის ბალანსს, – ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშშია ნათქვამი.



ანგარიშის თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საპარტნიორო ფონდის სესხს 2017 წელს 20 მილიონ დოლარამდე შეზღუდავს.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ფიქრობს, რომ საქართველოში ფისკალური რისკის შემცირება საჯარო და კერძო პარტნიორობის ( ) პროექტის შესახებ კანონით მოხდება, რომელსაც საქართველოს მთავრობა პარლამენტს მიმდინარე წლის დეკემბერში წარუდგენს.

სსფ-ის განცხადებით, ახალი კანონი გააძლიერებს საგადასახადო რისკების საჯარო კონტროლს. ანგარიშის თანახმად, კანონის მიღებამდე ხელისუფლება თავს შეიკავებს საჯარო კერძო პარტნიორობისა და ელექტროენერგიის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერისგან, გარდა ენერგოსექტორში არსებული შეზღუდული რაოდენობის ხელშეკრულებებისა, რაც ვალდებულებების საგადასახადო რისკების ყოვლისმომცველ შეფასებას ექვემდებარება.

– საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაცია ეძლევა, უფრო ძლიერი როლი მიეცეს ფინანსთა სამინისტროს სახსრებისა და საბიუჯეტო ხელმისაწვდომობის ღირებულების განხილვაში; უზრუნველყოფილი იყოს სატენდერო პროცესი; საჯარო კერძო პარტნიორობის ვალდებულებების ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოხდეს. პროგრამა შეზღუდავს საპარტნიორო ფონდის ახალ სესხებს, ასევე ლიმიტს დააწესებს მის სალარო დეფიციტზე.

საპარტნიორო ფონდი განაგრძობს მხოლოდ კომერციული მიზნების განხორციელებას (შვილობილი კომპანიების მონაწილეობის წილის ან სესხის თანაფინანსირების უზრუნველყოფით), არ განახორციელებს სალარო დეფიციტს ან არ გამოსცემს რამე გარანტიებს.

გარდა ამისა, ჩვენ საპარტნიორო ფონდის სესხს 2017 წელს 20 მილიონ დოლარამდე შევზღუდავთ, – ნათქვამია ანგარიშში.

# რატომ შეჩერდა კურორტ „ახტალის“ განვითარება?

სამკურნალო-ბალნეოლოგიური კურორტი „ახტალა“ საბჭოთა პერიოდის შემდეგ არ განვითარებულა. კურორტის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 2012 წლის აპრილში, საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით დაიწყო, ახლა შეჩერებულია.

კურორტზე სრულად ამორტიზებულია სანატორიუმის მიმდებარე ტერიტორია, რაც შეეხება სანატორიუმს, ის დამსვენებელს დღემდე ძველი, საბჭოთა პერიოდის ინფრასტრუქტურით იღებს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა ხდება ახლა კურორტზე, რატომ შეჩერდა ახტალის განვითარების გეგმის განხორციელება და როდის იგეგმება „ახტალის“ საერთაშორისო სტანდარტების მქონე კურორტად ქცევა?

კურორტ „ახტალის“ ხელმძღვანელი გიორგი უტიაშვილი განმარტავს, რომ ამ ეტაპზე ახტალა ისევ სახელმწიფოს მართვაშია და ინვესტორი ჯერჯერობით არ გამოჩენილა. მისი განცხადებით, 2012-2013 წლებში კურორტის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია ჩატარდა, თუმცა, მას შემდეგ არაფერი გაკეთებულა.

როგორც უტიაშვილი აცხადებს, კურორტს, მიუხედავად მოძველებული ინფრასტრუქტურისა, სეზონზე (ივნის-ნოემბერი) დამსვენებელი მაინც ჰყავს. მათ შორის, ადგილობრივები, მეზობელი ქვეყნებიდან (რუსეთი, აზერბაიჯანი), ისრაელიდან და ევროპიდან.

უტიაშვილის განცხადებით, შემუშავებულია კურორტის რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც ინვესტორის არსებობის შემთხვევაში უნდა განხორციელებულიყო.



– დაინტერესება არის, მოდიან და მიდიან, თუმცა, კონკრეტული არაფერია. უნდა გაკეთდეს კარგი სანატორიუმი, კარგი სასტუმროთი და სასადილოთი. სააბაზანოა საჭირო, ტალახის მიღება ავტომატიზირებულად უნდა იყოს, ასეთ კომპლექსში კი ვინც ფულს ჩადებს, აქამდე არ ჩანს. სახელმწიფო ცდილობს, მოჰყავთ ინვესტორები, თუმცა ძალით ხომ ვერავის ჩააადებინებ ფულს? – აცხადებს უტიაშვილი. მისი შეფასებით, კურორტ „ახტალას“ განვითარებისთვის დაახლოებით 8-10 მილიონი დოლარის ინვესტიციაა საჭირო.

მისივე თქმით, ახტალაში დასვენება 1 ადამიანზე, დღეში საშუალოდ 70 ლარი ჯდება. ამაში შედის სამჯერადი კვება, ტალახის პროცედურები, ფიზიოთერაპია.

როგორც ცნობილია, სს „ახტალა“ საპრივატიზაციო ნუსხაში 2015 წლიდანაა. დღეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ ობიექტი პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ნუსხაშია შესული. ობიექტის 99.68 პროცენტიანი წილი 4.340.405 ლარად იყიდება.

სააგენტოს ინფორმაციით, ინვესტორი ვალდებულია მოაწყოს არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო, შეინარჩუნოს სამედიცინო პროფილი და განახორციელოს 6 მილიონი ლარის ინვესტიცია.

გურჯაანში მდებარე სამკურნალო კურორტ „ახტალას“ რეაბილიტაციის პროექტი 2012 წლის აპრილში დაიწყო. მაშინ სამკურნალო და ტურისტული ცენტრის აღსადგენად მსოფლიო ბანკმა 3.5 მილიონი ლარი გამოყო. ახალ პარკში მოეწყო ველოტრასა და სარბენი ბილიკები, გაკეთდა საბავშვო გასართობი მოედანი, დამონტაჟდა დასასვენებელი კუთხეები და დაიდგა სავარჯიშო ტრენაჟორები.

„ახტალა“ საქართველოში ტალახით სამკურნალო ერთადერთი კურორტია. ახტალის ტალახით მკურნალობენ ძვალ-სახსროვან, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიურ, დერმატოლოგიურ, უროლოგიურ და სხვა დაავადებებს.

# თბილისში, შესაძლოა, „ჩქარი ავტობუსები“ გამოჩნდეს

თბილისში, შესაძლოა, ჩქარი ავტობუსებისთვის სპეციალური ზოლი გამოიყოს.

ამის შესახებ ილლნეწს.გე-ს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მერაბ ბოლქვაძემ განუცხადა. მერაბ ბოლქვაძის თქმით, ავტობუსის მძღოლებს შუქნიშანზე გაჩერების ვალდებულება აღარ ექნებათ.

– ჩქარი ავტობუსებისთვის გამოყოფილი ზოლები ისე მოეწყობა, რომ მასში ინდივიდუალურმა სატრანსპორტო საშუალებებმა შეჭრა ვერ შეძლონ. ყველა ვალდებული იქნება, მათ გზა დაუთმოს.

ჩქარ ავტობუსებად შეიძლება დიდი ავტობუსები გამოცხადდეს, რადგან მათ უფრო მეტი მგზავრის გადაყვანა შეუძლიათ. მოგვიანებით, როცა ქალაქს ფინანსები ექნება, ეს ზოლები შეიძლება ტრამვაისთვისაც გამოდგეს, – განმარტავს ის.

ჯერჯერობით, სამი მარშრუტია დადგენილი, რომლებიც, მერაბ ბოლქვაძის თქმით, შეიძლება დაკორექტირდეს: დიდი დიღომი – მარშალ გელოვანის გამზირი – საბურთალო-ვაკე– თავისუფლების მოედანი – ორთაჭალის ავტობაზრობა;

გლდანი – წერეთლის გამზირი – აღმაშენებლის გამზირი – რიყის ტერიტორია;

ავჭალის გზატკეცილი – რკინიგზის სადგური – ავლაბარი – აეროპორტის გზატკეცილი.

თბილისის მიწათმშენებლობის გენერალური გეგმის განხორციელება 2030 წლამდე იგეგმება.



# განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანის ბრალდებით ესპანეთის მოქალაქე დააკავეს




შსს-ს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, ესპანეთის მოქალაქე, 1976 წელს დაბადებული ც.გ.ლ. თბილისში დააკავეს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, დაკავებულისგან 4 შეკვრად დაფასოებული, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 56 აბი და 7,19793 გრ კანაფის ფისის შემცველი ნარკოტიკი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

# ნიკა რურუა: „იმედია, საქართველო კიდევ ერთხელ არ შერცხვება, როგორც ევა გოცირიძის შემთხვევაში მოხდა"

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეების მსურველი კანდიდატებიდან გიორგი პაპუაშვილს ვიცნობ და მთელი სულით და გულით ვგულშემატკივრობ, – ასე უპასუხა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა რურუამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველი კანდიდატების შესახებ ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას.

როგორც ნიკა რურუამ აღნიშნა, იმედოვნებს, რომ საქართველო „ისევე არ შერცხვება ახალი კანდიდატების წარდგენისას, როგორც ეს ევა გოცირიძის შემთხვევაში მოხდა".

– გიორგი პაპუაშვილი ნამდვილად კარგი იურისტია, შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიონალი და წესიერი ადამიანია. სხვა კანდიდატებზე ვერაფერს ვიტყვი. იმედია, კიდევ ერთხელ არ შერცხვება საქართველო, როგორც ევა გოცირიძის შემთხვევაში მოხდა. ამ კანდიდატებიდან პაპუაშვილს ვიცნობ და მთელი



სულით და გულით ვგულშემატკივრობ, – განაცხადა ნიკა რურუამ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის სურვილი 68 კანდიდატმა გამოთქვა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოსამართლეობის მსურველთა სია გამოაქვეყნა. კანდიდატებს შორის არიან: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები თამარ ალანია და შოთა გეწაძე, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი და მისი ყოფილი მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სოფიო ჯაფარიძე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში კონსტანტინე კორკელია და ა.შ.

# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის სურვილი 68 კანდიდატმა გამოთქვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის სურვილი 68 კანდიდატმა გამოთქვა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოსამართლეობის მსურველთა სი-



ას ავრცელებს. მათგან ხუთ კანდიდატურას სპეციალური სამთავრობო კომისია შეარჩევს.

კანდიდატებს შორის არიან: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები თამარ ალანია და შოთა გეწაძე, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი და მისი ყოფილი მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სოფიო ჯაფარიძე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში კონსტანტინე კორკელია და ა.შ.

როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთა ხუთპირიან სიას სამდივნო გააცნობს კომისიის წევრებს, ხოლო კომისიის თავმჯდომარე კომისიის სახელით წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

„კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან უნდა იყოს კომპეტენტური და აღიარებული სამართალმცოდნე; ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება და მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაცია", – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურის სასამართლოში საქართველოდან წარსაგზავნი მოსამართლის 2016 წლის კონკურსში 47 კანდიდატი მონაწილეობდა.

მოსამართლის კანდიდატურების შესარჩევად კონკურსის ფარგლებში საბუთების მიღება 2017 წლის 21 თებერვალს გამოცხადდა და 13 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა.

# ზაზა ხატიაშვილი: „ღირსეული კანდიდატის არჩევა შესაძლებელია, თუ წულუკიანი და კვირიკაშვილი არ მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას"

ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი ევროსასამართლოში საქართველოს კვოტის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა სიას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ სიაში არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები და ღირსეული კანდიდატის არჩევა შესაძლებელია, თუ პროცესში ხელისუფლების წარმომადგენლები არ ჩაერევიან და პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ.

– კომისიის წევრებმა არ უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება და ღირსეულ კანდიდატს არ უნდა დაუწერონ დაბალი შეფასება და უღირს კანდიდატს – მაღალი შეფასება. ძალიან ჭკვიან ადამიანებს აქვთ შეტანილი განცხადება. არ მინდა, წინასწარ დავასახელო ეს ადამიანები, მაგრამ დაახლოებით 10 კანდიდატია, რომლებსაც მე ვიცნობ და, რომლებსაც აქვთ უმაღლესი კვალიფიკაცია. შეიძლება ამ სიიდან ძალიან ღირსეული კანდიდატის არჩევა, თუ წულუკიანი და კვირიკაშვილი არ მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად 68 კანდიდატი იბრძოლებს. განაცხადების მიღება დღეს დასრულდა. ამიერიდან იწყება შერჩევის ეტაპი, რომელსაც სპეციალური კომისია განახორციელებს.



# სუიციდი არალში – 82 წლის კაცი ჩამომხრჩვალი იპოვეს

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ არალში 82 წლის მამაკაცი ჩამომხრჩვალი ნახეს.




ადგილობრივების ინფორმაციით, გარდაცვლილი გუშინ, მიცვალებულების მოხსენიების დღეს, მეუღლის საფლავზე იმყოფებოდა, დაბრუნებულმა კი თქვა, რომ „მეუღლე მოენატრა".

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# სასამართლომ ყაჩაღობაში ბრალდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

სასამართლომ ყაჩაღობაში ბრალდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ ყაჩაღობაში ბრალდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პროკურატურიდან აცნობეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში ბრალდებული, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი კ.რ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 15 ივლისს, 00:00 საათზე, ქ.თბილისში, ვარკეთილი 3-ის პირველი მიკრორაიონის მიმდებარე



ტერიტორიაზე კ.რ. ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი პისტოლეტის გამოყენებით თავს დაესხა ი.რ.-ს, სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით დაეუფლა მის კუთვნილ „მერსედესის" მარკის ავტომანქანას, 250 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა კ.რ. 16 ივლისს თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, არაერთგზის) წარედგინა. თბილისის საქალაქო სასამართლომ კ.რ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა", – ნათქვამია განცხადებაში.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# 13 600 დოლარის ოდენობის ყალბი 100-დოლარიანი კუპიურების გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



13 600 დოლარის ოდენობის ყალბი 100-დოლარიანი კუპიურების გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის შეძენა-შენახვა და გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, რუსთავში გაასაღა 13 600 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი 100-დოლარიანი კუპიურები. საგამოძიებო სამსახურის მიერ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი კუპიურები ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 10 წლამდე ითვალისწინებს.

# კალიფორნიელი სეპარატისტების ლიდერი რუსეთში გადაიხვეწა




კალიფორნიელი სეპარატისტების ლიდერი ლუის მატინელი რუსეთში გადაიხვეწა. ამის თაობაზე რადიო „თავისუფლება" იტყობინება.

მატინელის სახელი მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა მან კალიფორნიის აშშ-ის შემადგენლობიდან გასასვლელად ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

ის მოითხოვდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობა პასუხს გასცემდა კითხვას, სურს თუ არა კალიფორნიის დამოუკიდებლობა.

მატინელის წამოწყებას წარმატება არ მოჰყოლია. აშშ-ში სეპარატიზმის პრობლემა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გადაწყდა. მატინელიც მოსახლეობის ფართო ფენებში მხოლოდ ღიმილს იწვევდა. მისდამი აგრესია მას შემდეგ გაიზარდა, როცა რუსების ამერიკულ არჩევნებში ჩარევის ფაქტები გამოაშკარავდა. ამ დროს გაიხსენეს, რომ მატინელის მეუღლე ეროვნებით რუსი და რუსეთის მოქალაქეა.

– გამოდის, რომ მოძრაობა კალიფორნიის დამოუკიდებლობის შესახებ რუსეთიდანაა ინსპირირებული?!

სეპარატისტების ლიდერიც იძულებული გახდა, რუსეთში გაქცეულიყო.

# პუტინი უკრაინის, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებს დაუკავშირდა




რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინის, გერმანიისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს დაუკავშირდა.

საუბარი დონბასში შექმნილ მდგომარეობას შეეხო. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნია. პუტინის წინადადება, სააღდგომო დაზავება უნდა გაგრძელდესო, ყველამ გაიზიარა, თუმცა სიტყვა ერთია, რეალობა – მეორე.

– აღდგომაზეც კი დონბასში ლოკალური ხასიათის შეტაკებები არ წყდებოდა. ეს აღდგომის შემდეგაც გრძელდება, – ამბობს უკრაინელი პოლიტოლოგი ტარანი.

უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ჟდანოვი მიიჩნევს, რომ უახლოეს ხანებში დონბასელი სეპარატისტებისა და რუსი ოკუპანტების შეტევაა მოსალოდნელი. ამას უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე აჯანყებები მოყვება. ეს თანაბრად შეეხება როგორც დონბასის გათავისუფლებულ ნაწილს, ასევე უკრაინის დანარჩენ ტერიტორიას. ყველაზე საგანგაშო სიტუაცია მარიუპოლში, ხარკოვსა და ოდესაში შეიქმნა.

– მარიუპოლში აჯანყებისთვის ყველაფერი მზადაა, – ამბობს ჟდანოვი.

ექსპერტის აზრით, მსგავსი ვითარებაა ოდესაშიც.

– ხელისუფლება კი კვლავ უმოქმედობას იჩენს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ სურთ დონბასის ჩაბარება ისევე, როგორც ყირიმი ჩააბარეს, – თვლის ჟდანოვი.

# ეუთო: თურქეთის რეფერენდუმი ევროსტანდარტებს არ შეესაბამებოდა

ეუთოს ექსპერტებმა თურქეთში ჩატარებული რეფერენდუმი უარყოფითად შეაფასეს.

დასკვნაში ნათქვამია, რომ ტექნიკურად ყოველივე ჩინებულად იყო მომზადებული. პრობლემები უშუალოდ რეფერენდუმის ჩატარებისას წარმოქმნა. ეუთოს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობას ნების თავისუფლად დაფიქსირების საშუალება არ ჰქონდა.

– მოსახლეობა ხელისუფლების წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, – ამტკიცებენ ეუთოს ექსპერტები.



თავად ერდოღანმა რეფერენდუმის შედეგებს ისტორიული უწოდა და განაცხადა, რომ ხალხმა თავისი ნება დააფიქსირა.

– ჩვენ კვლავაც ხალხის, ანუ ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე ვიდგებით, – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა არ დამალა, რომ ეუთოს დასკვნით გაღიზიანებულია:

– მათ პოზიციას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს! ეუთოს წარმომადგენლებს მოვუწოდებ: იცოდეთ თქვენი ადგილი, – ამბობს ერდოღანი.

თურქეთის ოპოზიცია რეფერენდუმის შედეგებს არ ცნობს. სტამბულში ერდოღანის ოპონენტებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს.

# ფსბ–მ პეტერბურგის ტერაქტის ორგანიზატორი დააკავა



მოსკოვში, ოდინცოვის რაიონში, პეტერბურგის ტერაქტის ორგანიზატორი დააკავეს.

ამის თაობაზე რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის პრესცენტრი იუწყება. დაკავებული შუა აზიის მკვიდრია. მისი გვარია აზიმოვი.

გამოძიებით დადგენილია, რომ სწორედ აზიმოვმა მოამზადა ტერორისტი ჯალილოვი, რომელმაც აფეთქება უშუალოდ განახორციელა.

# სოჭში რუს ოპოზიციონერებს აპატიმრებენ




სოჭში რუსი ოპოზიციონერების დევნა გრძელდება. დაკავებულია ანტიკორუფციული მარშის ორგანიზატორი სურენ ედიგაროვი და კიდევ 8 ოპოზიციონერი.

მათ ბრალს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში სდებენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ასადს რუსული საკასეტო ბომბებიც ჰქონია



დამოუკიდებელმა საგამოძიებლო ჯგუფმა დაადგინა, რომ ავიაბაზა შაირათზე, რომელსაც ცოტა ხნის წინ ამერიკელებმა დაარტყეს, არა მხოლოდ ქიმიური იარაღი, არამედ რუსული საკასეტო ბომბებიც ინახებოდა.

დადგენილია ისიც, რომ სირიის დიქტატორს ასეთი ბომბების სერიოზული მარაგი აქვს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მარსელში საფრანგეთის პოლიციამ ტერაქტი აღკვეთა



მარსელში საფრანგეთის პოლიციამ ორი ტერორისტი დააკავა, რომლებიც ტერაქტის მოწყობას აპირებდნენ. ეს ინფორმაცია საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მათიას ფეკლმა დაადასტურა.

ფეკლის თქმით, ტერორისტების დაკავება ოპერატიული ინფორმაციის მიღების შემდეგ მოხდა და ბრალდებულები დანაშაულს აღიარებენ.

მათ შესახებ ცოტა არის ცნობილი. სავარაუდოდ, ისინი საფრანგეთში არალეგალური გზით შევიდნენ და მათი მიზანი რამდენიმე ტერაქტის განხორციელება იყო.

მათიას ფეკლმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქვეყანაში უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებით მკაცრი იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ჩინეთში „ტიტანიკის" სრულ ასლს აგებენ

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში სრულდება „ტიტანიკის" სრულმასშტაბიანი ასლის მშენებლობა. ამ ინფორმაციას ჩინეთის საერთაშორისო რადიო ავრცელებს.

დასრულებულია ხომალდის კორპუსის აგების სამუშაოები, რომლის სიგრძე – 296 მეტრს, ხოლო სიგანე 28,2 მეტრს შეადგენს.



პროექტის განხორციელება 2014 წელს დაიწყო. „ტიტანიკის" ასლის აგება ზღვის სანაპიროდან 1,5 ათასი კილომეტრის დაშორებით მიმდინარეობს.

ხომალდს დადგამენ ჰიდრავლიკურ საყრდენებზე, რომლის დახმარებითაც ტურისტებს „დატბორვის სიმულაციას" შესთავაზებენ, მათ შორის აისბერგთან „შეჯახებისგან" გამოწვეული მსხვრევის ხმას.

პროექტის ღირებულება 1 მილიარდ იუანს (დაახლოებით 140 მილიონი დოლარი) შეადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ბარსელონას სტატისტიკა ზურგს უმაგრებს

დღეს ევროპის საფეხბურთო ყურადღება ბარსელონისკენ არის მიმართული. „კამპ ნოუზე“ ბარსელონას ურთულესი მატჩი ელის იუვენტუსის წინააღმდეგ. ლუის ენრიკეს შეგირდები ტურინში 0:3 დამარცხდნენ და ახლა კიდევ ერთი დიდი ქამბექის იმედად არიან.

ოპტიმიზმის მიზეზიც არსებობს – მშობლიურ მიწაზე ბარსას ციფრები ამის საშუალებას იძლევა. კატალონიელებმა „კამპ ნოუზე“ 21 გოლი გაიტანეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს. ეს ნიშნავს, რომ ისინი თითო მატჩში საშუალოდ 5.25 გოლს იტანდნენ და თუ ბარსა ამ შედეგს დღესაც შეინარჩუნებს, მაშინ გულშემატკივრებს კიდევ ერთ დაუვიწყარ საღამოს აჩუქებს.

ამ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაზე ბარსელონამ ოთხივე საშინაო მატჩში გამანადგურებელი გამარჯვებები მოიპოვა: სელტიკთან (7:0), მანჩესტერ სიტისთან (4:0), მიონხენგლადბახის ბორუსიასთან (4:0) და პარი სენ ჟერმენთან (6:1).

ბარსელონას თავდამსხმელი, ნეიმარი იმედოვნებს, რომ საპასუხო მატჩში მისი გუნდი იუვენტუსს დაამარცხებს და ნახევარფინალში გავა.

– მამაჩემმა თამაშის შემდეგ კარგი აზრი გამოთქვა, რამაც მაიძულა, დავფიქრებულიყავი. წინ ამჯერად სხვა მეტოქე გველის, მაგრამ ბარსელონა იგივეა. ჩვენ უკვე გავაკეთეთ ეს ერთხელ და კიდევ შეგვიძლია ამის გაკეთება. მთელი ძალისხმევა უნდა გავილოთ და თუ ყველაფერი კარგად გამოვა, ჩვენ კიდევ ერთ ქამბექს შემოგთავაზებთ. მე მჯერა ჩვენი გუნდისა და პოტენციალის. ძალიან რთული იქნება, რადგან მეტოქეს დიდი უპირატესობა აქვს. იუვენტუსი ძალიან კარგად ორგანიზებულია, რაც კიდევ უფრო გაართულებს ჩვენს დაბრუნებას თამაშში. ორჯერ მეტი უნდა ვირბინოთ, ვიდრე ჩვეულებრივად. ჩვენ იმავე სიტუაციაში ვართ, როგორშიც პსჟსთან საპასუხო მატჩამდე ვიყავით: შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი 1%-ს შეადგენს, 99% კი, არის მუშაობა, რწმენა და წარმატება. მხოლოდ ასე მოვა გოლები.

მატჩს ხავიერ მასკერანო გამოტოვებს, რომელმაც ტურინში გამართულ მატჩში (0:3) მიღებული ტრავმის გამო ესპანეთის პირმერა დივიზიონის ბოლო ტურში სოსიედადის წინააღმდეგ მოედანზე ვერ გამოვიდა. მასკერანოს არც სავარჯიშო სესიებში მიუღია მონაწილეობა.

ამავდროულად, ლაზარეთი დატოვა არდა თურანმა, რომელიც, სავარაუდოდ, იუვენტუსთან მატჩისთვის მზად იქნება.

ასევე მოირჩინა ტრავმა იუვენტუსის ფორვარდმა პაულო დიბალამ. მან განაცხადა, რომ ბარსელონას წინააღმდეგ სათამაშოდ მზადაა. მისი თქმით, ყველაფერი კარგადაა და უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ბარსელონასთან მატჩისთვის 100%-ით არის მზად.

ტურინელთა კიდევ ერთმა არგენტინელმა, გონსალო იგუაინმა ჩემპიონთა ლიგის მეორე მეოთხედფინალურ მატჩთან დაკავშირებით ჟურნალისტებს მოლოდინი გაუზიარა და აღნიშნა, რომ, სოლიდური უპირატესობის მიუხედავად, ჯერ არაფერია გარკვეული:

– არ ვიცი, გვეყოფა თუ არა 3-ბურთიანი უპირატესობა. კამპ ნოუზე ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც პირველ მატჩში. ბარსელონამ პსჟ-სთან შეხვედრაში დაამტკიცა, რომ საოცრების ჩადენა შეუძლია, ასე რომ, ყურადღებით უნდა ვიყოთ.

# გიორგი კოხრეიძე: „ბოლომდე ბრძოლით წარმატების შანსი გვაქვს“




საქართველოს 19 წლამდე ნაკრებისა და საბურთალოს შემტევი გიორგი კოხრეიძე დედაქალაქური გუნდის ჯოკერად იქცა. ახალგაზრდა ფეხბურთელს ჯერჯერობით მხოლოდ ცვლილებაზე უწევს თამაში, მაგრამ ამას ხელი არ შეუძლია ეროვნულ ლიგაში უკვე 3 გოლი გაეტანა. აქედან, სამივე უმნიშვნელოვანესი... თუ პირველ ტურში ტორპედოს მომგებიანი სამქულიანი მხოლოდ 20 წუთის შემდეგ გაისროლა, ლოკომოტივთან ეს ერთ წუთში გააკეთა, ხოლო ბოლო ტურში ბათუმის დინამოსთან წამები მოუნდა და პირველივე შეხებით გაიტანა.

ასაკობრივი ნაკრების შემტევი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრის შედეგებზე საუბრობს, რომელიც ივნისში თბილისსა და გორში გაიმართება.

საუბარი ბათუმის დინამოსთან მატჩის შეფასებით დაიწყო:

– პირველი ტაიმი მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ, ბურთსაც ვაკონტროლებდით და სახიფათო მომენტებიც გვქონდა. სამწუხარო ისაა, რომ საგოლე მომენტების რეალიზებას ვერ ვახერხებთ. ამ კუთხით ბევრს ვმუშაობთ და იმედია, ეს ყოველივე შედეგს მალე გამოიღებს. როდესაც ანგარიში 2:0 გახდა, წინ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი. ბოლოსკენ აქცენტი კარის უსაფრთხოებაზე გავაკეთეთ. კარგია, რომ მოგება შევძელით და 3 წაგებული მატჩის შემდეგ საჭირო 3 ქულა მოვიპოვეთ. ძალიან მნიშვნელოვანი და დროული მოგება იყო.

***– მინდორზე შესვლამდე რა დავალებები მიიღეთ მთავარი მწვრთნელისგან?***

– თავდასხმის ხაზში შევედი, წინ უნდა მებრძოლა და შემეწუხებინა მეტოქე ფეხბურთელები. გიორგი ჭიაბრიშვილმა მითხრა, რომ დამამთავრებელ ფაზაში ჩემს თავზე ამელო თამაში. ვეცადე მწვრთნელის დავალებები შემესრულებინა. კარგია, რომ მინდორზე შესვლიდან მალევე გოლი გავიტანე. შანსი გამომიჩნდა თუ არა, ეგრევე კარში დავარტყი...

***– უკვე მერამდენედ ხდება, რომ ცვლილებიდან შესული მალევე შედეგიან დარტყმას ახორციელებთ. მწვრთნელიც გრძნობს, როდის უნდა შეგიშვათ მინდორზე და თქვენც შესაბამისად უმართლებთ.***

– ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა განწყობით შედიხარ მინდორზე. როგორი სტიმულითაც შეხვალ, ანალოგიურად ითამაშებ. მოედანზე ყოველთვის მოტივირებული ვარ, არა აქვს მნიშვნელობა ძირითადში ვარ თუ თადარიგში. ამავდროულად, როდესაც გრძნობ, რომ მწვრთნელი გენდობა და შენი იმედი აქვს, ეს კიდევ უფრო დამატებითი სტიმულია.

***– ეროვნულ ლიგაში მეშვიდე ტურის მატჩები მიილია. ამართლებს თუ არა მოლოდინს 10-გუნდიანი პირველობა?***

– ძირითადად, ყველა თანაბარი კლუბებია. გათამაშების ცხრილიდანაც ჩანს, რომ დაძაბულობა ბოლომდე იქნება. ცხრილში ძალიან სიმჭიდროვეა. ერთი ფეხის დაცდენა ძვირად გიჯდება. ახლა მესამე ადგილზე ვართ, თუმცა უფრო უკეთესი შედეგის ჩვენება შეიძლებოდა, ხელი რამდენიმე ფაქტორმა შეგვიშალა. პირველ წრეში სამეულში უნდა დავმკვიდრდეთ, შემდეგ კი ვნახოთ, რომელი პოზიციებისთვის ვიბრძოლებთ. ფაქტია, რომ საბურთალოს ნებისმიერ გუნდთან ბრძოლა შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდული კლუბი ვართ.

***– როგორ ფიქრობთ, საბურთალო წლევანდელ პირველობაზე რითი გამოირჩევა?***

– ჩვენ ყოველთვის ჩვენს სტილში ვთამაშობთ – ტექნიკურ და შემტევ ფეხბურთს. ასევე, ჩვენი მთავარი კოზირი ბურთის კონტროლია. ძალიან გვიყვარს სანახაობრივი ფეხბურთის თამაში. მჯერა, მომავალში, როგორც თამაშის ხარისხს, შედეგსაც გავაუმჯობესებთ და უკეთ წარმოვაჩენთ თავს.

***– სანაკრებო თემებზეც ვთქვათ: გაირკვა 19 წლამდელთა ნაკრების მეტოქეები ევროპის ჩემპიონატზე. რას იტყვით კენჭისყრაზე?***

– ამხელა ტურნირზე რომ სუსტი ნაკრები ვერ მოხვდება, ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი ძლიერი ნაკრები, როგორიც საფრანგეთია, მსგავს შეჯიბრებაზე ვერ მოხვდა, დიდი სენსაციააა. მეორე ჯგუფში, სადაც გერმანია და ინგლისი მოხვდნენ, ერთი შეხედვით თითქოს უფრო ძლიერია, მაგრამ ჩვენს ჯგუფში მყოფი პორტუგალია, ჩეხეთი და შვედეთი არაფრით ჩამოუვარდებიან მათ. ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩები გველის. თუ ბოლომდე ვიბრძოლებთ და მაქსიმუმს გავიღებთ, წარმატების კარგი შანსი გვაქვს. დაუმარცხებელი მოწინააღმდეგე არ არსებობს – თამაში ყველასთან შეიძლება.

***– ცოტა ხნის წინ, 19-წლამდელთა ნაკრებმა რუსეთთან 2 ამხანაგური მატჩი გამართეთ და ორივე მოიგეთ.***

– მართალია ამხანაგური მატჩები იყო, მაგრამ მოგება ყოველთვის სასიამოვნოა და კარგ განწყობაზე გაყენებს. 2 შეხვედრის მოგება, თან რამდენიმე დღის ინტერვალში, არც ერთ გუნდთან იოლი არ არის. თანაც ორივე მატჩი 1:0 მოვიგეთ და მთლიანობაში ნორმალური შთაბეჭდილება დავტოვეთ. იმედია, ევროპის ჩემპიონატისთვისაც კარგად მოვემზადებით და აღნიშნულ ტურნირს სასურველ სპორტულ კონდიციებში შევხვდებით.

# ქეცბაიას დანდის მწვრთნელად განიხილავენ



შოტლანდიური დანდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა პოლ ჰარლიმ თანამდებობა სეზონის დასრულებამდე დატოვა. მიზეზი კლუბის არადამაჯერებელი ასპარეზობა გახდა. დანდი 12-გუნდიან ჩემპიონატში მე-11 ადგილზე გავიდა, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე კი კლუბი იმ ექვსეულში მოხვდა, რომელიც შოტლანდიის პრემიერშიპში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს.

რამდენიმე წარმატებულ შოტლანდიელ მწვრთნელთან ერთად თემურ ქეცბაიას ვარიანტსაც განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ თემურ ქეცბაია დანდიში 2001-02 წლებში თამაშობდა. ქართველმა ნახევარმცველმა შოტლანდიური კლუბის მაისურით 22 შეხვედრაში გოლის გატანა ექვსჯერ მოახერხა.

# ტილემანსი გრანდების რადარზე გამოჩნდა



ანდერლეხტის 20 წლის კაპიტანი იური ტილემანსი მომავალ ზაფხულს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ფეხბურთელი იქნება. მისით უკვე რამდენიმე დიდი კლუბია დაინტერესებული.

მარტო ინგლისში ჩელსი და მანჩესტერ იუნაიტედი ერთმანეთს 25 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასებული ფეხბურთელისთვის ეცილებიან.

ჩელსი ამ საქმეში ყველაზე აქტიურად ჩაერთო და მანჩესტერ იუნაიტედისა და ანდერლეხტის მატჩზე სკაუტები გაგზავნა, რათა ბელგიური კლუბის ახალგაზრდა კაპიტანს დაკვირვებოდნენ.

ბრიუსელში გამართულ შეხვედრას მილანის ინტერის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ტილემანსის მიმართ ინტერესს ასევე იჩენენ მონაკო, პარი სენ ჟერმენი და იუვენტუსი.

თუმცა, მოსალოდნელია, რომ ჩელსი ზემოაღნიშნულ ყველა გუნდს დაასწრებს და ტილემანსის შეძენას სატრანსფერო ფანჯრის გაღებისთანავე ეცდება.

## 17 აპრილი
## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მიდლსბრო-არსენალი ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 32 | 24 | 3 | 5 | 65-27 | 75 |
| 2.ტოტენჰემი | 32 | 21 | 8 | 3 | 68-22 | 71 |
| 3.ლივერპული | 33 | 19 | 9 | 5 | 69-40 | 66 |
| 4.სიტი | 32 | 19 | 7 | 6 | 63-35 | 64 |
| 5.მანჩესტერი | 31 | 16 | 12 | 3 | 48-24 | 60 |
| 6.არსენალი | 31 | 17 | 6 | 8 | 63-40 | 57 |
| 7.ევერტონი | 33 | 16 | 9 | 8 | 60-37 | 57 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 12 | 8 | 13 | 39-42 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 31 | 11 | 7 | 13 | 37-40 | 40 |
| 10.უოტფორდი | 32 | 11 | 7 | 14 | 37-52 | 40 |
| 11.სტოკი | 33 | 10 | 9 | 14 | 37-48 | 39 |
| 12.ლესტერი | 32 | 10 | 7 | 15 | 41-53 | 37 |
| 13.ვესტ ჰემი | 33 | 10 | 7 | 16 | 44-59 | 37 |
| 14.ბარნლი | 33 | 10 | 6 | 17 | 33-47 | 36 |
| 15.კრ.პალასი | 32 | 10 | 5 | 17 | 44-52 | 35 |
| 16.ბორნმუთი | 33 | 9 | 8 | 16 | 45-63 | 35 |
| 17.ჰალი | 33 | 8 | 6 | 19 | 34-67 | 30 |
| 18.სუონსი | 33 | 8 | 4 | 21 | 37-68 | 28 |
| 19.მიდლსბრო | 32 | 4 | 12 | 16 | 23-39 | 24 |
| 20.სანდერლენდი | 32 | 5 | 6 | 21 | 26-58 | 21 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-ასტონ ვილა ... 3:1
ბარნსლი-ბრენტფორდი ... 1:1
ბირმინგმი-ბარტონი ... 0:2
ბლექბერნი-ბრისტოლი ... 1:1
ბრაიტონი-უიგანი ... 2:1
იფსვიჩი-ნიუკასლი ... 3:1
კარდიფი-ნოტინგემი ... 1:0

## შედეგები

ქპრ-უენსდი ... 1:2
ლიდსი-ვულვზი ... 0:1
პრესტონი-ნორვიჩი ... 1:3
რედინგი-როტერჰემი ... 2:1
დერბი-ჰადერსფილდი ... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ვილიარეალი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 31 | 23 | 6 | 2 | 82-33 | 75 |
| 2.ბარსელონა | 32 | 22 | 6 | 4 | 91-30 | 72 |
| 3.ატლეტიკო | 32 | 19 | 8 | 5 | 59-24 | 65 |
| 4.სევილია | 32 | 18 | 8 | 6 | 56-39 | 62 |
| 5.ვილიარეალი | 32 | 15 | 9 | 8 | 46-26 | 54 |
| 6.ბილბაო | 32 | 16 | 5 | 11 | 45-37 | 53 |
| 7.სოსიედადი | 32 | 16 | 4 | 12 | 48-45 | 52 |
| 8.ეიბარი | 32 | 14 | 8 | 10 | 52-44 | 50 |
| 9.ესპანიოლი | 32 | 13 | 10 | 9 | 44-42 | 49 |
| 10.სელტა | 31 | 13 | 5 | 13 | 48-51 | 44 |
| 11.ალავესი | 32 | 11 | 10 | 11 | 31-39 | 43 |
| 12.ვალენსია | 32 | 11 | 7 | 14 | 47-54 | 40 |
| 13.ლას პალმასი | 32 | 10 | 8 | 14 | 51-57 | 38 |
| 14.ბეტისი | 32 | 9 | 7 | 16 | 35-51 | 34 |
| 15.მალაგა | 32 | 8 | 9 | 15 | 36-49 | 33 |
| 16.დეპორტივო | 32 | 7 | 10 | 15 | 35-50 | 31 |
| 17.ლეგანესი | 32 | 6 | 9 | 17 | 26-49 | 27 |
| 18.ხიხონი | 32 | 5 | 7 | 20 | 34-64 | 22 |
| 19.გრანადა | 32 | 4 | 8 | 20 | 27-68 | 20 |
| 20.ოსასუნა | 32 | 3 | 8 | 21 | 32-73 | 17 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლევანტე-რეუსი ... 0:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-შტუტგარტი ... 2:3

**იტალია. სერია ბ**

სპალი-ტრაპანი ... 2:1
ბრეშა-ბენევენტო ... 1:0
ვერონა-ჩიტადელა ... 2:0
ვირტუსი-ტერნანა ... 1:1
ვიჩენცა-პრო ვერჩელი ... 0:1
კარპი-ბარი ... 2:0
პერუჯა-ასკოლი ... 0:0
სალერნიტანა-ლატინა ... 2:1
ფროზინონე-ნოვარა ... 2:3
პიზა-აველინო ... 0:1
ჩეზენა-სპეცია ... 1:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სტრასბური-აიაჩო ... 4:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნასიონალი-მორეირენშე ... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-თუნი ... 2:1
იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი ... 0:1
ლუცერნი-სტ.გალენი ... 2:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ვარეგემი-ბრიუგე ... 2:2
შარლერუა-გენტი ... 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სლავია-ჰრადეც კრალოვე ... 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგია-კორონა ... 0:0
ნეცეჩა-პიასტი ... 1:0
ვისლა-ზაგლებიე ... 1:0
ლეხია-არკა ... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-კოპენჰაგენი ... 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ჰამარბი ... 1:2
კალმარი-იონჩოპინგი ... 1:3
გიოტებორგი-ესკილსტუნა ... 1:1
ნორჩოიპინგი-სირიუსი ... 0:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-ჰაუგესუნდი ... 3:1
მიოლდე-ვალერენგა ... 4:0
ალესუნდი-ლილესტრიომი ... 3:1
სანდერფიორდი-კრისტიანსუნი ... 2:0
სონგდალი-სტრომგოდსეტი ... 1:1
სტაბეკი-სარპსბორგი ... 3:0
ვიკინგი-რუსენბორგი ... 0:1
ოდ გრელანდი-ტრომსო ... 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-ინტერი ... 2:1
როვანიემი-ვაასსა ... 2:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ ავირიდოთ ძუძუს კიბო

ეკა ირემაშვილი



სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში მკვეთრად იმატა სარძევე ჯირკვლების პათოლოგიების რიცხვა ქალბატონებში. მამოლოგები მათ ურჩევენ, რომ წელიწადში სულ მცირე ერთხელ მაინც პროფილაქტიკის მიზნით მიაკითხონ სპეციალისტს, რათა თავიდან აიცილონ შემდგომი გართულებები და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

რა არის ძუძუს კიბოს გამომწვევი რისკ-ფაქტორები, რამდენად ეფექტურია მკურნალობა ადრეულ გამოვლინებებზე, შესაძლებელია თუ არა თვითგასინჯვით ძუძუში არსებული წარმონაქმნის აღმოჩენა და როგორ უნდა მოიქცნენ ქალბატონები მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი-მამოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, რევაზ ციციშვილი საუბრობს.

**რევაზ ციციშვილი:**

– უკანასკნელ წლებში ქალთა დაავადებათა შორის მკვეთრად იმატა სარძევე ჯირკვლების პათოლოგიების რიცხვმა.

***– რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?***

– სამწუხაროდ, იზრდება საქართველოში ძუძუს კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი. სარძევე ჯირკვლების დაავადებებთან მიმართებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი რისკ-ფაქტორების ცოდნას და ადრეულ დიაგნოსტიკას, რამეთუ მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია პათოლოგიების ადრეულ გამოვლინებაზე.

***– რამდენად ეფექტურია თვითგასინჯვა ძუძუში არსებული წარმონაქმნის აღმოსაჩენად?***

– თვითგასინჯვით ყოველთვის არ არის შესაძლებელი ძუძუში არსებული წარმონაქმნის აღმოჩენა, განსაკუთრებით ადრეულ სტადიაში, რის გამოც აუცილებელია სარძევე ჯირკვლების სისტემატური შემოწმება ანუ სკრინინგი, ექიმ-მამოლოგთან კონსულტაცია, რომელიც საჭიროების მიხედვით შეურჩევს პაციენტს გამოკვლევის შესაფერის მეთოდს – რენტგენომამოგრაფიას, ექომამოგრაფიას და სხვა.

***– რა არის მიჩნეული სარძევე ჯირკვლების პათოლოგიების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად?***

– სარძევე ჯირკვლების პათოლოგიების განვითარების ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია ენდოკრინოლოგიური და გინეკოლოგიური დაავადებები, როგორც მოზარდ გოგონებში, ასევე რეპროდუქციულ ასაკში და პოსტმენოპაუზურ პერიოდში. სწორედ ამიტომ ჩვენს ინსტიტუტში ყველა პაციენტს უტარდება მამოლოგიური გამოკვლევა.

***– რას ურჩევთ მკითხველს, რომ მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აიცილოს?***

– საფრთხის თავიდან ასაცილებლად, კონკრეტული ჩივილების არქონის შემთხვევაშიც კი, საჭიროა წელიწადში მინიმუმ ერთხელ მამოლოგთან კონსულტაცია.

# საქართველოს მოსახლეობა წელიწადში 5.000 ტონამდე ყავას მოიხმარს



„ყავის საერთაშორისო ორგანიზაციამ“ ახალი კვლევები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც ირკვევა, თუ რომელი ქვეყნები რა რაოდენობის ყავას მოიხმარენ წელიწადში. მათ შორისაა საქართველოც, სადაც ერთი ადამიანი წელიწადში საშუალოდ 1.3 კილოგრამ ყავას მოიხმარს. რეიტინგში პირველ პოზიციებს ძირითადად სკანდინავიური ქვეყნები იკავებენ. პირველ პოზიციაზეა ფინეთი წელიწადში 12 კგ ყავის მოხმარებით.

თუ ერთი ადამიანის მიერ მოხმარებულ ყავის ოდენობას საქართველოს მოსახლეობის მთლიან რაოდენობაზე (3.720.4) გავამრავლებთ, ვნახავთ, რომ ჯამში, საქართველოს მოსახლეობა წელიწადში 5.000 (4.836.52) ტონამდე ყავას მოიხმარს.

# ამერიკელ ბებიას, რომელიც შვილიშვილს აშინებდა, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა

ამერიკაში ოკლაჰომა-სიტის მცხოვრებ ქალბატონს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა იმის გამო, რომ ის თავის შვიდი წლის შვილიშვილს ჯადოქრის სახით ატერორებდა.

51 წლის ჟენევა რობინსონმა საკუთარი თავი დამნაშავედ ცნო ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ხუთ ბრალდებაში. მან აღიარა, რომ, ჯადოქრის სამოსში გამოწყობილი, შვილიშვილს ყელს ჰკაწრავდა, სცემდა სახესა და ხელებზე, აჭრიდა თმას, როდესაც ბავშვს ეძინა.

– ის, რასაც ის ჩადიოდა, საშინელება იყო და სამუდამოდ დაამახსოვრდებათ ამ ბავშვსა და მის და-ძმებს, – განაცხადა საოლქო პროკურორის თანაშემწე მერიდიტ ისტერმა.

სასამართლოზე აჩვენეს მობილური ტელეფონით გადაღებული სამწუთიანი ვიდეო. მასზე აღბეჭდილია, რომ რობინსონს აცვია შავი სამოსი, სახეზე უკეთია ნიღაბი, ხოლო ხელები მწვანედ აქვს შეღებილი.

დაცვის მხარემ განსასჯელის ქმედება იმით ახსნა, რომ რობინსონს ბავშვს ვეღარ აკონტროლებდა და სწორედ ამიტომ მიმართა ასეთ ხერხს, თუმცა, იქვე აღიარა, რომ მეტისმეტი მოუვიდა.

სასამართლომ საბრალდებო ვერდიქტი ასევე გამოიტანა რობინსონის საყვარელთან, ჯოშუა გრეინჯერსთან მიმართებითაც, რომელმაც თავი დამნაშავედ ცნო ბრალდების ერთ-ერთ პუნქტში. მას, სავარაუდოდ, 30-წლიანი პატიმრობა ელის.




მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ბრიტანელებს ძვირფასი საქორწინო კაბები აღარ იზიდავთ




დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ქალბატონები სულ უფრო მეტად კარგავენ ინტერესს ძვირადღირებული საქორწინო კაბების მიმართ. მასზე მოთხოვნილება მკვეთრად შემცირდა.

საშუალოდ საქორწინო ხარჯები ბრიტანეთში 27 ათას ფუნტ სტერლინგს აღწევს, ხოლო მის დედაქალაქ ლონდონში 38 ათას ფუნტ სტერლინგს აღემატება. ჩვეულებრივ, ბრიტანელები დიდ თანხას ხარჯავდნენ საქორწინო ჩაცმულობებზე, მაგრამ ახალი თაობა სულ უფრო ხშირად ამბობს უარს ძვირადღირებულ საქორწინო კაბებზე.

ზოგიერთი საპატარძლოს თქმით, მათ არ სურთ, ათასობით ფუნტი გადაიხადონ კაბაში, რომელსაც მხოლოდ ერთხელ ჩაიცვამენ.

– ეს მეტად ცუდი ინვესტიციაა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა გოგონამ.

ექსპერტების გამოანგარიშებით, საქორწინო კაბის საშუალო ღირებულება 832 ფუნტს შეადგენს, რაც 20 პროცენტით დაბალია 2016 წლის მაჩვენებელზე, როდესაც საქორწინო კაბა საშუალოდ 1,1 ათასი ფუნტი ჯდებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 19 აპრილისათვის



**ვერძი** – შეცდომის დაშვებას ფინანსური დანაკარგები მოჰყვება. ყურად იღეთ გონიერი ადამიანის რჩევები. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი ნაცნობობისათვის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ დიდ სითბოსა და ყურადღებას ამჟღავნებენ. **ტყუპები** – პროფესიულ სფეროში მცირე პრობლემები ჩნდება. ირწმუნეთ საკუთარი თავის და თამამად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ფინანსურ სფეროსა და ახლო გარემოცვაში ცვლილებები შეინიშნება. მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი ძალზე მაღალია. შესაძლოა, თქვენი დაუდევრობის გამო სამსახურში ხელმძღვანელობის შენიშვნა დაიმსახუროთ. **ქალწული** – გელით სასიამოვნო სიურპრიზი. ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** – ძალებს ფუჭად ნუ დახარჯავთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელიც სიამოვნებას მოგგვრით. **ღრიანკალი** – დაეხმარეთ ხანდაზმულ ნათესავებს. ნუ იქნებით სულსწრაფი და აგრესიული. **მშვილდოსანი** – შესაფერისი დღეა სამოგზაუროდ, სტუმრების მისაღებად. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **თხის რქა** – გუნება-განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. სასიამოვნო სიურპრიზების დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი პერიოდია ძველი, დავიწყებული კავშირების აღსადგენად. იყავით რბილი და მიმტევებელი. **თევზები** – ზომიერება და თავშეკავება დღის დევიზია. ოჯახის წევრებთან დაძაბულ ურთიერთობას მხოლოდ სიმშვიდით განმუხტავთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 2. ტბა აშშ-ში; 3. აფრიკის უდაბნოდან მონაბერი ცხელი ქარი; 4. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 5. იტალიური სადესერტო ღვინო; 8. კორიდის მთავარი მონაწილე; 12. სუსტი არაყი; 13. მეტისმეტად კომიკური, სახუმარო წარმოდგენა; 14. ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს; 16. ღრმა, ვიწრო ხეობა; 18. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 20. ჩეხური მოტოციკლეტი.

**თარაზულად**: 6. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 7. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. სპეციალურად დამჟავებული ბოსტნეული; 9. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 10. უძველესი ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 11. მცირე ამპლიტუდის რხევები; 15. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 17. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 19. აეროპორტი კიევში; 21. მოსავლის ამღები კომბაინის სამკელი ნაწილი; 22. კანონებში არსებული შეუსაბამობა, წინააღმდეგობა; 23. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ღვენთი; 2. ბრამსი; 3. ბარტოლდი; 4. ბელუჩი; 6. პარასოლი; 8. „არემჯი“; 11. ქარაშოტი; 12. ინიესტა; 16. ბელგა; 17. დერბი; 18. სპიჩი.

**თარაზულად:** 1. ღრუბელი; 5. სტეპი; 7. „სალომეა“; 9. ნეიმარი; 10. ბულიმია; 13. ჯანდარა; 14. ხახული; 15. „ანსა“; 19. გერგეტი; 20. ფელამუში; 21. სანიშვილი; 22. ბიზონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შინჯუკუ; 2. რარიტეტი; 3. „ინტელი“; 4. სიამი; 5. შიფონერი; 8. კერატიტი; 12. საბო; 13. აკადემია; 14. არწივი; 16. ტიციანი; 18. კრიკი; 20. ალბა.

**თარაზულად:** 6. „ვიქტორია“; 7. მონოტიპი; 8. კრეიგი; 9. ბურჟე; 10. ნეისმიტი; 11. პლესეცკი; 15. აკრატოფორი; 17. სოპოტი; 19. ველასკესი; 21. ამნეზია; 22. სამშვილდე; 23. ჰაჯიბეი.

# აკა სინჯიკაშვილი პრეზიდენტმა დააჯილდოვა



ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი და სცენარისტი აკა სინჯიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დააჯილდოვა. აკამ ჯილდო იმ საქველმოქმედო საქმიანობებისთვის მიიღო, რასაც ის წლებია მთელი საქართველოს მასშტაბით აწარმოებს და ყველაზე გაჭირვებულებს ეხმარება.

ინფორმაცია და ფოტო დაჯილდოების შესახებ აკა სინჯიკაშვილმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

„ეხლა ჩემს სიცოცხლეში ყველაზე სასწაული ამბავი... ქვეყნის პრეზიდენტისგან დღეს მივიღე ყველაფერზე საოცრება ჯილდო, წმინდა ნიკოლოზის პირველი ხარისხის ორდენი. ეს თქვენი დახმარებით მოპოვებული და თქვენივე მოცემული ჯილდოა. ყველას სათითაოდ დიდი მადლობა, ადამიანებო. ეხლა ცოტას ვიღნავლებ და ისევ აქ ვიქნები, თქვენთან. არ დაგჭირდეთ, თორემ ცეცხლში ჩავდგები სათითაოდ ყველა თქვენგანისთვის, მიყვარხართ და გკოცნით, წინ დიდი საქმეები გვაქვს ყველას ერთად."

# ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე" იწყება



XII საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე" იწყება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაარსებული ფესტივალი 20 აპრილს დაწყება და 25 მაისამდე გაგრძელდება.

საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 და უწმიდესისა დ უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიოს-პატრიარქის ილია II-ს აღსაყდრების 40 წლისთავის საიუბილეო თარიღებს ეძღვნება.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია იტალიაში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მომღერალი იანო თამარ ალიბეგაშვილი, საპატიო მრჩეველი კი ამერიკაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია. ფესტივალი, რომელიც უკვე საქართველოს კულტურული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, ტრადიციულად, დედაქალაქსა და რეგიონებში გაიმართება.

თბილისის საფესტივალო კონცერტები 20 აპრილს საზეიმოდ გაიხსნება. გალა კონცერტი ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართული და მსოფლიო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავები. პირველად თბილისს ესტუმრება საოპერო ბანი იტალიიდან ფრანჩესკო ელერო დ'არტენია. იტალიელ ვარსკვლავთან ერთად იმღერებს საქართველოს სახელმწიფო კაპელა და დაუკრავს თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.

მეორე საფესტივალო დღე 23 აპრილია. ოპერის თეატრში ბელინის „ნორმა" იქნება წარმოდგენილი. ამ დღეს საქართველოში ოპერის პირველი საკონცერტო შესრულება შედგება. სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ იანო ალიბეგაშვილი, ქეთევან ქემოკლიძე, ზორან ტოდოროვიჩი გერმანიიდან, ფრანჩესო ალერო დ' არტენია იტალიიდან, ოპერის თეატრის გუნდი და ორკესტრი, ესპანელი დირიჟორის ხოზე ლუის გომესის ხელმძღვანელობით.

3 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში ფესტივალის ეგიდით ეროვნული საშემსრულებლო ხელოვნების ახალგაზრდა შემსრულებლების გალა-კონცერტი ჩატარდება. მასში მონაწილეობენ კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის", ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეები.

თბილისური საფესტივალო დღეები 23 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში დასრულდება, სადაც მსმენელის წინაშე წარდგებიან საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა" და პიანისტი ქეთევან ქემოკლიძე.

რაც შეეხება რეგიონებს, 30 აპრილს ფესტივალი თელავში ჩავა და ვაჟა- ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას საიუბილეო საღამოს გამართავს. კონცერტში მონაწილეობენ ქართული პროფესიული სცენის ცნობილი შემსრულებლები

24 მაისს კი ფესტივალი ქუთაისს ეწვევა. ოპერის თეატრში საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა" და პიანისტი ქეთევან ქემოკლიძე ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

წლევანდელი „აღდგომიდან ამაღლებამდე" ბათუმში 25 მაისს დასრულდება. ხელოვნების და მუსიკის ცენტრში „საქართველოს სინფონიეტა" და პიანისტი ქეთევან ქემოკლიძე ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

# გოჩა ჩერტკოევი „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან" წავიდა



მეგა შოუ „ცეკვავენ ვარსკვლავების" მეშვიდე სეზონი იწყება. შოუს ძველი პროდიუსერი ნოე სულაბერიძე დაუბრუნდა და როგორც თავად აღნიშნავს, ეს ეზონი ყველასგან გამორჩეული და ორიგინალური იქნება. უკვე ცნობილია, რომ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მონაწილეები.

მომღერლები, მსახიობები, ტელეწამყვანები, მოდელები პროექტში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

შოუს წამყვანების და ჟიურის ვინაობა ამ დრომდე უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჟიურის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი წევრი გოჩა ჩერტკოევი მეშვიდე სეზონში აღარ იქნება.

ინფორმაცია ამის შესახებ გოჩა ჩერტკოევმა თავად გაავრცელა:

— ძალიან სამწუხაროა. ღმერთმა იცის, დახმარება მინდოდა. ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ ქართულ შოუ ბიზნესს ჩემს გარეშე. ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ ყველა.

# მანანა მენაბდე: „შევეშვათ სახელოვანი ხალხის ლანძღვას!"



გერმანიაში მოღვაწე ქართველი მომღერალი მანანა მენაბდე საზოგადოებას მიმართავს და ურჩევს, სახელოვანი ხალხის ლანძღვა დაასრულონ.

**მანანა მენაბდე:**

— მივმართავ ყველას, ვინც სხვის ჯიბეში იხედება! დამეთანხმებით, რომ არავის საქმე არ არის, ვინ ვის ეხმარება და ვის ჰყავს სპონსორი. ამაზე ჭორაობა და ამაზე ქირქილი უხერხულად მიმაჩნია. ჯერ ერთი, ეს არაეთიკურია, მეორეც, ის რომ არაჯანმრთელი სურვილია, იცოდე, ვის რამდენი აქვს ხელფასი. ეს არ არის „ევროპელი" ადამიანების საქციელი, თუკი ჩვენ ვთვლით, რომ „ევროპელები" ვართ და მაღალი კულტურის მქონე ადამიანები.

საქმე სპონსორში კი არ არის და იმაში, აფინანსებს თუ არა სახელმწიფო ისე თეატრებს, რომ ეს უადვილებდეს ყოფას მსახიობებს! მე უკვე ამდენი წელია ბერლინში ვცხოვრობ და ძალიან კარგად ვიცი, რომ თეატრებში, დიდ დაწესებულებებში, სიმფონიურ ორკესტრებში, არასდროს არავინ არ იცის, ვის რამდენი აქვს ხელფასი და უკულტურობად და ცუდ ტონად ითვლება სხვის ხელფასზე საუბარი და აგრეთვე ჰკითხო შენს კოლეგას, რამდენი გაქვს შენ ხელფასიო. ევროპაში ყველგან ასეა და ამერიკაშიც, ეგეც რომ არ იყოს, ევროპის მაგალითი, ნუთუ თავად თითოეულმა ჩვენთაგანმა არ უნდა იცოდეს, რომ ეს უკულტურობაა? და, რაღა თქმა უნდა, ამ სიის გამოქვეყნება კი უმსგავსობაა!

რატომ უნდა იმართლებდეს თავს ზურა ყიფშიძე ან კიდევ ვინმე, საზოგადოების წინაშე, რომ მას ვიღაც ეხმარება?!?!?! ვერ დავიჯერებ, რომ ვინმეს ჩვენში უკვირს, რომ მრავალშვილიან და დიდ ოჯახიან მამას და ბაბუას არ ყოფნის 2000 ლარი. ან რას უნდა იღებდეს ისეთს 2 თეატრიდან ზურა ყიფშიძე, რომ სამყოფი იყოს?! ის უნდა გვიკვირდეს და განგაში ატეხოთ იმაზე, ასე ცოტას რომ უხდიან ჩვენს სასიქადულო და საყვარელ მსახიობებს. მაგრამ ჩვენთვის მთავარია „დამნაშავე" ვიპოვოთ და ჩავქოლოთ პიროვნება, რომელიც ამდენი ხანია თავის ხალხსა და თეატრს დაუღალავად ემსახურება!

მოვეგოთ გონს სჯობს და შევეშვათ სახელოვანი ხალხის ლანძღვასა და გარდაცვლილების ქილიკს! მოვეფეროთ ერთმანეთს. ჩავეხუტოთ და გვერდით დავუდგეთ ერთმანეთს! მაშინ ვერავინ ვერ მოგვერევა! მარტო წარღვნას უნდა დაველოდოთ, რომ ერთად მზიური აღვადგინოთ და გავასუფთაოთ? მხოლოდ მაშინ უნდა დავეხმაროთ მრავალშვილიან ოჯახებს, სანამ წყალი არ წაგვიღებს?! რატომ არ შეიძლება, რომ ჩვეულებრივი ცხოვრების რითმში გვიყვარდეს ერთმანეთი, ერთმანეთს ვაფასებდეთ, ვეხმარებოდეთ, მხარში ვედგეთ და არ ვუთხრიდეთ ერთმანეთს საფლავს?

ნუ ჩავიგდებთ თავს ცოდვაში, ამ დღეებში მაინც ჩემო საყვარელო ქართველებო და თბილისელებო, ასეთი დღეებია და მოდი, ერთად ვიყოთ და ღირსეულად შევხვდეთ ამ დღეებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# აშშ-ში 45-კილოგრამიანი სააღდგომო შოკოლადის კვერცხი დაამზადეს



ამერიკის მინესოტის შტატის ქალაქ ლეიკ-ელმოში გიგანტური შოკოლადის კვერცხი დაამზადეს.

რესტორანLake Elmo Inn-ის მფლობელმა მზარეულს დაავალა, სააღდგომო კვერცხი დაემზადებინა, რომლის წონა 45 კილოგრამი იქნებოდა. მის შექმნას სამი დღე დასჭირდა. „ნაჭუჭი" რვა ფენა თეთრი შოკოლადისგან დაამზადეს. კვერცხის ორი ნახევარი ცალ-ცალკე დამზადდა, შემდეგ შეაერთეს, ხოლო შეერთების ადგილი მუქი ფერის შოკოლადის ჩარჩოთი დაფარეს. მისი ზედაპირი იმავე პროდუქტისგან დამზადებული 240 ყვავილით მორთეს.

რესტორანი აპირებს, სააღდგომო კვერცხი 23 აპრილამდე იყოს გამოფენილი და მის ნახვას ყველა მსურველი შეძლებს.

— ხალხს ის უყვარს, იმიტომ, რომ ასეთი დიდია და სხვებს სულაც არ ჰგავს, — განაცხადა რესტორნის მზარეულმა ჯონი მარტინმა, რომელმაც გასულ წელს 13- კილოგრამიანი სააღდგომო კვერცხი დაამზადა.

# საფრანგეთში ასმეტრიანი დახმარების თხოვნა გამოჩნდა




ფრანგმა ფერმერმა ხორბლის ყანაში გააკეთა გიგანტური წარწერა: „დამეხმარეთ!" ამით მას სურდა, ყურადღება მიეპყრო ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობისთვის.

63 წლის ჟაკ ფორტენმა წარწერის გასაკეთებლად საკუთარი ფერმის ხუთი ჰექტარი ფართობის ყანა გამოყო, რომელიც ქალაქ ტურის მახლობლად მდებარეობს. მისი სიგანე — 100 მეტრს, ხოლო სიმაღლე 48 მეტრს შეადგენს. ასოები კარგად ჩანს თვითმფრინავებიდან.

ფორტენის თქმით, წარწერა წარმოადგენს უბედურების მაუწყებელ კოლექტიურ სიგნალს, რომელიც ყველა ფერმერის სახელით გაკეთდა.

— არანორმალურია, როდესაც თვეში 350 ევროდ გიწევს ცხოვრება, იმ დროს როდესაც ყოველდღე მუშაობ, — განმარტავს ფორტენი და იშველიებს სტატისტიკას, რომლის თანახმადაც, ყოველი მეორე ფრანგი ფერმერი ამ თანხაზე ნაკლებს გამოიმუშავებს. ზოგიერთი ამ ყოველივეს ვერ უძლებს და სიცოცხლეს თვითმკვლელობითაც კი ასრულებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

19 აპრილი
ოთხშაბათი

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "მოამბე" **10.10, 04.20** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ფერმა" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.30** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.20** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პირველი 1/4 ფინალური მატჩი **00.40** მხ/ფ "**გაზეთი**" (გ.ქლოუზი)

**08.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული საყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დ/ფ "სპუტნიკის წლები" **11.15** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" - "იოჰანესბურგი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **22.45** **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის პირველი 1/4 ფინალური მატჩი **00.40** "ნამდვილი დრო" **01.10** მხ/ფ "**ბიჭი კალიფორნიიდან**" (მ. შინი)

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** კონცერტი: თემურ თათარაშვილი **01.00** მხ/ფ "**წითლები**" **04.15** მხ/ფ "**სამოთხის პროექტი**"

**06.00, 19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

**08.00** ან/სერ. ფანბოი და ჩამ-ჩამი **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **13.00** სერ. "**აღქმა**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**გაააანალიზე ეს**" **00.25** მხ/ფ "**გაააანალიზე ის**" **02.15** მხ/ფ "**ცხოვრების გემო**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" I ნაწ. **10.30** დ/ფ "ველური ბუნება" **11.10** მიწათმოქმედი "ხორბალი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "საბერძნეთი-ელადის სიწმინდეებთან" **16.00** კონცერტი **16.45** ეპოქა და ადამიანები "რევაზ ლაღიძე" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები "ივანე მაშაბელი" **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "კომანი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "სერგო ზაქარიაძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**გემი**" **23.10**, სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3896 |
| ევრო | 2.5418 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.9968 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2223 |

## ამინდის პროგნოზი 19 აპრილისთვის





11 აპრილიდან

ბერძნული მითები




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 აპრილიდან




ლიონ ფოიხტვანგერი

გოია

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 24-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან




ჟორჟ სანდი

ინდიანა

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 26-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იუმორი



ღარიბი მარტოხელა სომეხი, რომელიც პატარა ბინაში უსინათლო დედასთან ერთად ცხოვრობს, თავის ყოველდღიურ ლოცვებში ღმერთს თავისი ცხოვრების გაუმჯობესებას ევედრებოდა. ბოლოს ღმერთმა გადაწყვიტა, მისი თხოვნა დაეკმაყოფილებინა, გამოეცხადა და ეუბნება:

– მხოლოდ ერთადერთ სურვილს შეგისრულებ.

– გმადლობ, უფალო! ჩემი ერთადერთი სურვილი ის არის, რომ ჩემმა უსინათლო დედამ საკუთარი თვალით იხილოს, თუ როგორ კიდებს კისერზე ჩემს ქალიშვილს ჩემი ცოლი ოც მილიონად ღირებულ ყელსაბამს ჩემი მერსედესის ლიმუზინში, რომელიც ბევერლი-ჰილზში ჩემი სახლის აუზის გვერდით არის გაჩერებული!

•••

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რამდენი შვილი გყავს?

– ორი. ერთი თვითონ გავაჩინე, მეორე კი დედამთილმა ჩამაბარა!

•••

მასწავლებელი გიგის ეუბნება:

– აბა, ჩამომითვალე, რა დამანგრეველ ზეგავლენას ახდენს ალკოჰოლი ორგანიზმზე.

– პირდაპირ ვერ მეტყვით, რომ ხვალ მშობელი მოვიყვანო?!

•••

საკმარისია, რუსეთის გზების მდგომარეობა მთვარის ლანდშაფტს შეადაროთ და დარწმუნდებით, რომ მთვარეც რუსეთის ტერიტორიაა.

•••

მამა ქუჩაში ბავშვს ასეირნებს. ამ დროს ნაცნობი შეხვდათ, რომელიც მოკითხვის შემდეგ ეუბნება:

– რა საოცარი ბავშვი გყავთ!

– მართლა?

– კი, ოღონდ მითხარით, ის სიმპათიური ბიჭია თუ შეუხედავი გოგონა?

•••

საინტერესოა,თუ კაცი ამბობს, რომ ის უცხოპლანეტელი ან ნაპოლეონია, მას მკურნალობენ, ხოლო თუ კაცი თვლის, რომ ის ქალია, მის უფლებებს იცავენ???

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– ჩემნაირს ვეღარ იპოვი.

– შენნაირის მოძებნას აღარც ვაპირებ!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– ხვალ ჩვენ ერთმანეთს ვერ შევხვდებით.

– რატომ?

– ჯერ არ ვიცი, მაგრამ რამეს მოვიფიქრებ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ანჯელინა ჯოლი სესილ ბლაუნტ დემილის სახლს ყიდულობს





ჰოლივუდის მსახიობი ანჯელინა ჯოლი რეჟისორის, პროდიუსერის, „ოსკარის“ პრემიის ლაურეატ სესილ ბლაუნტ დემილის ყოფილ სახლს ყიდულობს, რომელიც ლოს-ანჯელესში მდებარეობს და 25 მილიონი დოლარი ღირს.

სახლს აქვს ექვსი საძინებელი, 10 სააბაზანო. ის 1913 წელს არის აშენებული და ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება ქალაქში. დემილი იქ გარდაცვალებამდე, 1959 წლამდე ცხოვრობდა.

ადრე მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსახიობი ყიდვის თაობაზე წინადადების გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ახლა ცნობილი გახდა, ის მართლაც აპირებს მის ყიდვას და უკვე თანხმობაც მიიღო.

სახლი გასაყიდად თითქმის 25 მილიონ დოლარად იქნა გამოტანილი და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯოლიმ მასში ამ ფასთან მიახლოებული თანხა გადაიხადა, მისი მეზობლები კი იქნებიან მსახიობები კეისი აფლეკი და ნატალი პორტმანი, ასევე რეჟისორი დევიდ ფინჩერი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პსჟ ალექსის სანჩესს მაცდურ წინადადებას სთავაზობს




ფრანგული პსჟ წლევანდელ ზაფხულში ფორვარდის შეძენას გეგმავს და მათი მთავარი სამიზნე არსენალის თავდამსხმელი ალექსის სანჩესი იქნება, რომელიც, სავარაუდოდ, არსენალს სეზონის ბოლოს დატოვებს.

სანჩესის შეძენა ბევრ კლუბს სურს, მაგრამ პსჟ განსაკუთრებით აქტიურობს და პარიზული გუნდი მზად არის, სანჩესს წელიწადში 12 მილიონი ევრო გადაუხადოს.

ჯერჯერობით თვითონ ფეხბურთელი თავის მომავალზე განცხადებას არ აკეთებს და, სავარაუდოდ, ბევრი რამ ზაფხულში გაირკვევა.

პსჟ-ს გარდა, სანჩესის შეძენა მანჩესტერ სიტისაც სურს, რომელიც ამ ტრანსფერში 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## როჯერ ფედერერმა შესაძლოა საფრანგეთის ღია პირველობა გამოტოვოს




შვეიცარიელმა ჩოგბურთის ლეგენდამ როჯერ ფედერერმა შესაძლოა საფრანგეთის ღია პირველობა, იგივე როლან გაროსი გამოტოვოს. ამის შესახებ თვითონ ფედერერმა განაცხადა და იქვე დაამატა, რომ მას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია.

ფედერერი უკვე 35 წლის არის და სეზონის მანძილზე ძალების განაწილებას აპირებს, ამიტომ მან შესაძლოა აქცენტი უიმბლდონზე და ამერიკის ღია პირველობაზე გააკეთოს. წლევანდელი სეზონი ფედერერმა შესანიშნავად დაიწყო და მის ანგარიშზე უკვე 3 მოგებული ტურნირია, თან ამ ტურნირებიდან ერთი დიდი სლემის, ხოლო დანარჩენი ორი კი მასტერსის სერიის არის.

როჯერი ჯერჯერობით არ აპირებს ჩოგბურთისთვის თავის დანებებას და არც იცის, როდის წავა ჩოგბურთიდან.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ამერიკის უნივერსიტეტში მსოფლიოში ყველაზე დიდი რუბიკის კუბიკი შექმნეს

ამერიკის მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს რუბიკის კუბიკი, რომლის წონამ 1500 ფუნტი (680 კილოგრამი) შეადგინა. მისი წარდგენა უნივერსიტეტის საინჟინრო კამპუსში ენ არბორში მოხდა. გიგანტური კუბიკი სრულად იმეორებს რუბიკის კუბიკის მცირე ზომის ორიგინალს.



მექანიკური კონსტრუქციის ერთ-ერთმა შემქმნელმა, 22 წლის რაიან კუნმა, განაცხადა, რომ მათი თავსატეხი უდიდესია მათ შორის, რომელთა დეტალები მოძრაობს. კუნი ირწმუნება, რომ ჩვეულებრივი რუბიკის კუბიკის აწყობას ორ წუთზე ნაკლებ დროს ანდომებს, მაგრამ გიგანტური ასლის ასაწყობად, შესაძლოა, საათზე მეტი დრო დასჭირდეს.

შეგახსენებთ, რომ ეს კუბიკი უნგრელმა მოქანდაკემ და არქიტექტურის მასწავლებელმა ერნე რუბიკმა გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოიგონა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სინათლის ნაწილაკი, სინათლის კვანტი; 2. მდინარე სვანეთში; 3. კინოცენტრი ინდოეთში; 4. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 6. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ქალაქი იმერეთში; 16. ტვირთბრუნვით ერაყის ყველაზე დიდი ნავსადგური; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო.

**თარაზულად**: 1. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. შოკოლადის ხე; 7. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 9. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი დისციპლინა; 10. ესპანელი მხატვარი; 13. მსხვილი სოსისი; 14. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 15. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 19. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. კუთხე საქართველოში; 22. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი